














# 50

# დროშა

სექტემბერი
№ 9 1974 წ.









ეროვნული ბიბლიოთეკა



25-26 ივლისს მოსკოვში, კრემლში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა სესიაზე აღნიშნა, რომ სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი, ხელმძღვანელობენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკით, რომელიც გამოხატავს საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს, წარმატებით წყვეტდნენ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარებისა და მისი საერთაშორისო ურთიერთობის საარსებოდ დიდმნიშვნელოვან საკითხებს. კიდევ უფრო დიდი მასშტაბური ამოცანები ისახება ამ მოწვევის უმაღლესი საბჭოს წინაშე. თითოეულ დეპუტატს შეუძლია გამოიყენოს თავისი ძალ-ღონე, თავისი ნიჭი.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ ერთხმად აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში თვალსაჩინო პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად შევიდნენ დეპუტატები მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის წარმომადგენელთა რიგებიდან.

სესიამ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შექმნის შესახებ.

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ დეპუტატი ნ. ვ. პოდგორნი ერთხმად კვლავ აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

მოწონებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმიანობა. ამხანაგი ა. ნ. კოსიგინი ინიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა სესიაზე გამოსვლის დროს აღუთქვეს ჩვენს პარტიას და ხალხს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და მთავრობა კვლავაც განუხრელად განახორციელებენ კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ბეჯითად იბრძოლებენ ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის სესიის მიერ მიღებულ დადგენილებებსა და დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში ხორცშესხმულია ჩვენი პარტიის ლენინური კურსი — სსრ კავშირის კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობის განმტკიცების, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, კაცობრიობის, სოციალური პროგრესის კურსი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის პირველი სესია მასების მაღალი, პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობდა. სესიის შედეგებს ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს მთელი ჩვენი ხალხი, რომელიც თავდადებით იბრძვის სკკპ XXIV ყრილობის დიად მიზანდასახულობათა წარმატებით განსახორციელებლად.

# ხალხის კეთილდღეობისათვის

# 50 დროშა 50

შემოდგომის ერთ სუსხიან დილას თბილისის ქუჩებში გაზეთებთან ერთად გასაყიდად გამოიტანეს მონაცრისფრო ქაღალდზე დაბეჭდილი ახალი ჟურნალები. ჟურნალის პირველი ნომერი ხელიდან ხელში გადადიოდა. ბევრმა მხოლოდ ახლა შეიტყო, რომ გამოსვლა დაიწყო ორკვირეულმა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალმა „დროშამ“.

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა.

ფურცლავთ ჟამთა სვლისაგან ჩაყვითლებულ „დროშის“ პირველ ნომერს, ეცნობით მასალებს, გულდასმით კითხულობთ მეთაურ წერილს და თქვენთვის ნათელი ხდება ის ჭეშმარიტად კეთილშობილური ამოცანა, რომელიც მიზნად დაისახა ჟურნალმა.

„ჩვენი სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალის შინაარსი და სული უნდა შეიქმნეს გამომხატველი იმ ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც ჩვენში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით დამყარდა. ჩვენი სურვილი იქნებოდა, რომ ყველა საღად მოაზროვნე მწერალს თავი შემოეკრიბა ჩვენი „დროშის“ გარშემო და ეწარმოებინა ის დიდი საქმე, რომელსაც ლიტერატურის სახით მშრომელი ხალხის სამსახური ეწოდება“.

სარედაქციო წერილში ჩამოყალიბებული ეს საპროგრამო მიზანი ხინამდვილედ იქცა.

„დროშამ“ წლების განმავლობაში თავის გარშემო შემოიკრიბა ცნობილი პოეტები და პროზაიკოსები, ჟურნალისტები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები, მოიზიდა საუკეთესო მხატვრები და ფოტორეპორტიორები, რომლებიც ნაყოფიერად იღწვიან იმ დიდი საქმისათვის, რასაც „მშრომელი ხალხის სამსახური ეწოდება“.

იუბილეს დღეებში, საერთოდ, მილოცვა და შექებაა მიღებული, მაგრამ უსაფუძვლო ქება როდი იქნება თუ ვიტყვით, რომ ორმოცდაათი წლის „დროშა“ მუდამ ერთგულად იდგა კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლთა რიგებში.

ჟურნალმა სიყვარული და საზოგადოებრივი პოპულარობა მოიპოვა როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდისტმა. მის ფურცლებზე სისტემატურად შუქდება მშრომელი ადამიანების სისხლსავსე ცხოვრება, ჩვენი პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

ამ რამდენიმე ხნის წინათ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტთა წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოსადმი. ეს წერილი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რა აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიულ დადგენილებას საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებებმა ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია მშრომელებში. ის, რაც ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ხდება, თავის ასახვას პოულობს ჟურნალის ფურცლებზე. „დროშაში“ გამოქვეყნებული ნარკვევები, წერილები, სტატიები, მოთხრობები თუ ლექსები ერთ დიად საქმეს ემსახურება: დააკმაყოფილოს მკითხველთა გაზრდილი ესთეტიკური მოთხოვნილება, აღზარდოს მშრომელები პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხელი შეუწყოს იმ მიზანდასახულობათა წარმატებით განხორციელებას, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უსახავენ ჩვენს ხალხს.

ჟურნალმა „დროშამ“ ნახევარი საუკუნის წინ თავისი არსებობა რამდენიმე ათასი ეგზემპლარით დაიწყო. 1951 წელს, როცა დიდი სამამულო ომის დროს შეწყვეტილი „დროშის“ გამოცემა განახლდა, ჟურნალის ტირაჟი 15 ათასი ცალი იყო.

„დროშა“ თანდათან მტკიცედ იდგამდა ფეხს, უფრო და უფრო ამდიდრებდა და ამრავალფეროვნებდა დასაბეჭდი მასალების თემატიკას, აუმჯობესებდა თავის ტექნიკურ გაფორმებას, მეტ სიყვარულს იხვეჭდა მშრომელებში.

ყოველთვიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალ „დროშის“ პოპულარობაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი ტირაჟი დღეს 54 ათას ეგზემპლარს აღემატება.

„დროშა“ თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს იხდის. ახლა ამ ზეიმის დღეებში ღრმა პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ „დროშის“ პირველ რედაქტორს, გამოჩენილ ბოლშევიკს მიხა კახიანს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ჟურნალს.

ზუსტად ათი წელი რედაქტორობდა განახლებულ „დროშას“ გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ აბაშიძე. სწორედ გრიგოლ აბაშიძის ხელში გამოიკვეთა თანამედროვე „დროშის“ პროფილი, შეიქმნა და დამკვიდრდა ჟურნალში ფერადი ყდებისა და ფერადი ჩანართების ბეჭდვის ტრადიცია.

ათი წელი რედაქტორობდა აგრეთვე ჟურნალ „დროშას“ ჩვენი საყვარელი მწერალი და კრიტიკოსი გიორგი ნატროშვილი. ეს წლები ჟურნალის შემდგომი დავაჟკაცების წლები იყო. დიდი ღვაწლი დასდეს ჟურნალს ალიო მირცხულავამ, აკაკი ძიძიგურმა, რომლებიც სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ „დროშას“.

აბა, როგორ შეიძლება ილაპარაკო „დროშაზე“ და არ გაიხსენო აწ გარდაცვლილი შალვა გვინჩიძე — წლების მანძილზე ჟურნალის ამაგდარი პასუხისმგებელი მდივანი. როგორ შეიძლება დანანებით არ მოიგონო „დროშელთა“ ოჯახიდან უდროოდ წასული გიორგი შატბერაშვილი, ანდრო თევზაძე, ედიშერ ყიფიანი, ვახტანგ ნადარეიშვილი, ნინო მაჭავარიანი, გურამ თიკანაძე და ახლახან გარდაცვლილი ნიკოლოზ ჩაჩავა.

ჟურნალ „დროშის“ მთელი კოლექტივი ახლა ერთი ფიქრითა და აზრით არის გამსჭვალული: ის, რაც გაკეთდა, კარგია, მისასალმებელია, მაგრამ წინ კიდევ ბევრის გაკეთებაა საჭირო! საჭიროა შემოქმედებით ლაბორატორიაში კვლავაც დაუცხრომლად ვეძიებდეთ და ვპოულობდეთ ახალ გზებსა და ფორმებს, სრულვყოფდეთ ჟურნალის ტექნიკურ გაფორმებას, უფრო ფრთხილად, მეტი მომთხოვნელობით, მეტი პასუხისმგებლობით ვარჩევდეთ გამოსაქვეყნებელ მასალებს.

ჟურნალ „დროშის“ კოლექტივმა კარგად იცის, რომ „დროშას“ ჯერ კიდევ აქვს მთელი რიგი ხარვეზები და ნაკლოვანებები. ჩვენი სისხლსავსე თანამედროვე ცხოვრება, ჩვენი საზოგადოებრიობა ჟურნალისაგან უფრო ღრმა, უფრო მხატვრულ და მაღალიდეურ მასალებს მოითხოვენ, ჟურნალის გაფორმება ყოველმხრივ უნდა აკმაყოფილებდეს მშრომელთა გაზრდილ ესთეტიკურ მოთხოვნილებას.

ჟურნალი „დროშა“, რომელიც მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის ავტორთა ფართო აქტივს ეყრდნობა, რომელსაც აქვს მძლავრი პოლიგრაფიული ბაზა და საიმედო ძალად უდგა მხარში მუშა-პოლიგრაფისტთა კვალიფიციური არმია, ეჭვს გარეშეა, მეტის გაკეთებას შეძლებს.

„დროშა“ კვლავაც ერთგულად იდგება კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლთა ავანგარდში, მთელ თავის ძალასა და შესაძლებლობას კვლავაც მოახმარებს მშრომელი ხალხის სამსახურს, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებას, ჩვენი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მასების დარაზმვის კეთილშობილურ საქმეს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 9 (453) სექტემბერი. 1974 წ.

გამოცემის წელი 51-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1974




მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: გ. გახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, გ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
კორექტორი ტ. თაბორიძე

# 50 დროშა 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციაში მრავალი წერილი და მოსალოცი დეპეშა მოვიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ჟურნალის მკითხველები ახალ შემოქმედებით წარმატებებსა და შემდგომ წინსვლას უსურვებენ „დროშას“.

ჩვენი ჟურნალის კოლექტივის, სარედაქციო კოლეგიისა და ავტორთა ფართო აქტივის სიხარული გაიზიარეს და „დროშას“ გულთბილი მოლოცვები გამოუგზავნეს მოძმე რესპუბლიკების მთელი რიგი ჟურნალების რედაქციებმა.

ჟურნალ „დროშის“ კოლექტივი დიდ მადლობას უძღვნის ყველას, ვინც მეგობრული სიყვარულით გამოეხმაურა ჟურნალ „დროშის“ დაარსების 50 წლისთავს.

აქვე ვაქვეყნებთ მოძმე რესპუბლიკებიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან რედაქციაში მიღებული მისალმებების ნაწილს.

საქართველოს ქალიშვილები და ჭაბუკები მხურვალედ ულოცავენ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ჟურნალ „დროშას“, რომელმაც თავისი არსებობის 50 წლის მანძილზე დიდი როლი შეასრულა რესპუბლიკის ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

ჟურნალი ახალგაზრდული ენერგიით უსწორებს მხარს თანამედროვეობის მოთხოვნებს, მეცხრე ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანებს.

საქართველოს კომკავშირი, მისი ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის ახალგაზრდობა მიესალმება იუბილარს და უსურვებს ღირსეული წვლილის შეტანას ჩვენი პარტიის მიზანდასახულობების წარმატებით გადაჭრის საქმეში.

САКАРТВЕЛОС АЛКК ЦЕНТРАЛУРИ КОМИТЕТИ

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტი

## Україна

**ძვირფასო მეგობრებო!**

საქართველოს ჟურნალების მედროშე „დროშას“ გულითადად ვულოცავთ სახელოვან იუბილეს — საუკუნის შუადღეს.

გისურვებთ ბედნიერებას, მოძმე ჟურნალის კოლექტივისა და ავტორთა აქტივის შემოქმედებითი ძალების აყვავებას.

ჟურნალ „უკრაინის“ კოლექტივი

## Беларусь

**ძვირფასო ქართველო მეგობრებო!**

სულითა და გულით მოგესალმებით და გილოცავთ თქვენი პოპულარული ჟურნალის „დროშის“ ოქროს იუბილეს. ნახევარი საუკუნის მანძილზე იგი სახელოვნად ასრულებდა ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში მომხდარი ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის, ქართველი ხალხის მიღწევების ჟამთაამწერლის როლს, თაობებს ზრდიდა ლენინის ანდერძისა და საბჭოთა სამშობლოს ერთგულების სულისკვეთებით.

ვუსურვებთ თქვენს სახელოვან ჟურნალს ახალ, უფრო დიდ წარმატებებს საბჭოთა ხალხების მეგობრობის, ჩვენი დიადი სამშობლოს სადიდებლად.

ჟურნალ „ბელორუსის“ სარედაქციო კოლექტივი

გულითადად ვულოცავთ რედაქციის კოლექტივს სახელოვან იუბილეს, ვუსურვებთ მარადიულ სიჭაბუკესა და შემოქმედებითი ცეცხლის უფრო მეტ მხურვალებას.

ჟურნალ „შვიტურისის“ რედაქცია
ვილნიუსი

## Գარուն

*ძვირფასო მეგობრებო!*

სომხეთის ყველაზე ახალგაზრდა ლიტერატურული ჟურნალი „გარუნი“ („გაზაფხული“) მოხარულია მიულოცოს თავის უფროს ძმას „დროშას“ ოქროს იუბილე.

მეგობრების საუკუნოვანი ძმობა უაზრო იქნებოდა, ისინი ღრმად რომ არ გასცნობოდნენ ერთმანეთის ლიტერატურას და განსაკუთრებით ღრმად არ ჩასწვდენოდნენ შემოქმედების თანამედროვე ნიმუშებს. დაე, ჭაღარა „დროშა“ და ჯერ კიდევ ნორჩი „გარუნი“ გადაიქცნენ საქმიანი მეგობრობის, ყოველდღიური კონტაქტების მედროშეებად. ამით დიდ წვლილს შეიტანენ საბჭოთა ლიტერატურის აყვავების საქმეში. მარტო წარსულში დანერგილ მეგობრობას როდი უნდა ვუყუროთ, ახლა უფრო მეტად უნდა განვამტკიცოთ მოძმე ლიტერატურათა მეგობრობა — ამაში ვხედავთ ჩვენს მოწოდებას, ჩვენს ვალს ხალხის წინაშე.

ქართველი ხალხის რაინდული სული, რომელმაც კარგი ასახვა ჰპოვა თქვენს უძველეს ლიტერატურაში, საბჭოთა საქართველოს დღევანდელი ცხოვრება — ყოველთვის სიამაყის გრძნობით გვავსებდა, ყოველთვის იყო ჩვენი დასაყრდენი.

ვუსურვებთ „დროშის“ მუშაკებს, ავტორებს, მკითხველებს ნამდვილ ლიტერატურასთან ახალ-ახალ ძვირფას შეხვედრებს, პირად ბედნიერებასა და ყოველგვარ სიკეთეს.

ჟურნალ „გარუნის“ სარედაქციო კოლეგიის, რედაქციისა და მკითხველთა სახელით ჟურნალის მთავარი რედაქტორი
ვარდკეს პეტროსიანი

## Zvaigzne

ბევრი რამ აახლოებს თბილისსა და რიგას — ჩვენი ქალაქების სოციალისტური შეჯიბრება, ქართველი და ლატვიელი ლიტერატორების ტრადიციული კავშირი და მრავალი სხვა. მათ შორის ჩვენ ერთ-ერთ მთავარ საქმედ მიგვაჩნია ჩვენი ჟურნალების — „დროშისა“ და „ზვაიგზნეს“ („ვარსკვლავი“) დაუღალავი შრომა.

ჩვენ არ გაგვაჩნია ნახევარსაუკუნოვანი მუშაობის სტაჟი. ამ ხნის განმავლობაში თქვენ ხომ ბევრი რამ გააკეთეთ თქვენი რესპუბლიკის წარმატებათა პროპაგანდისათვის, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების გამომზეურებისათვის. გისურვებთ კვლავაც უფრო მეტ შრომით წარმატებებს. რედაქციის მუშაკებს, ავტორებს, მკითხველებს და ყოველ ქართველ ოჯახს — დიდი ბედნიერება და ჯანმრთელობა!

თქვენი უმცროსი თანამებრძოლი „ზვაიგზნე“

## Советский Дагестан

**ძვირფასო ჩვენო კოლეგებო!**

ჟურნალ „სოვეტსკი დაღესტანის“ სარედაქციო კოლექტივი გულითადად გილოცავთ ჩვენი კალმის თანამოძმეებს ჟურნალის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. ვუსურვებთ მედროშე ჟურნალისტებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

ჟურნალ „სოვეტსკი დაღესტანის“ სარედაქციო კოლეგია

# 50 დროშა 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი გულითადი [illegible] დღე! მივესალმები საყვარელ ჟურნალ „დროშას", რომელმაც თავისი არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე დიდი შრომა გასწია ქართველი მკითხველის კომუნისტური აღზრდისა და სულიერი ამაღლებისათვის ღვაწლისათვის.

[illegible]

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჟურნალი „დროშა" იქცა ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის ცხოვრების სარკედ. მის ფურცლებზე — მხატვრულ სიტყვასა თუ ფერწერულ ნახატში, რეპორტაჟსა თუ ფოტოში, ლექსსა თუ მოთხრობაში აისახა ის გმირული ბრძოლა და შრომა, ის დიდი შემოქმედებითი გაქანება, რომლითაც ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდა ქართველი ხალხი.

ახლა, ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში გამოსულ „დროშის" ნომრებს რომ ვავლებთ თვალს, ჩვენს წინ იშლება კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პანორამა, ჩვენი ერის აღორძინებისა და წინსვლის თვალწარმტაცი სურათი.

სწორედ ხალხის ცხოვრებასთან სიახლოვემ, ხალხის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტების ასახვამ აქცია „დროშა" ახალი საქართველოს სულიერი ყოფის განუყრელ ნაწილად, მოუპოვა მას მკითხველთა ფართო აუდიტორიის სიყვარული და პატივისცემა.

ჩემი ცხოვრების საუკეთესო ათი წელი განახლებული „დროშის" ფეხზე დადგომასა და დავაჟკაცებასთანაა დაკავშირებული. 1951 წლიდან 1961 წლამდე მე ამ ჟურნალის რედაქტორი ვიყავი და რედაქციის შესანიშნავ კოლექტივთან ერთად მისი წარმატებისათვის ვილწვოდი.

„დროშა" ჩემთვის ყოველმხრივ მშობლიურია და მისი გამარჯვება დღემდე საკუთარ გამარჯვებასავით მახარებს.

ვუსურვებ სახელოვან იუბილარს კვლავაც გაემართლებინოს თავისი მაღალი სახელი, ღირსეულად გაეგრძელებინოს ჩვენი ხალხის ერთგული სამსახური, რომელიც დღეს, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს განახლებისა და გაჯანსაღების პერიოდში ისეა საჭირო, როგორც არასოდეს!

გრიგოლ აბაშიძე

---

„დროშა" ჩვენთვის, კოლმეურნეებისათვის საყვარელი ჟურნალია. სისტემატურად ვადევნებთ თვალს ჟურნალში გამოქვეყნებულ ნარკვევებს, ჩანახატებს, მოთხრობებს, ლექსებს, ფოტოილუსტრაციებს, რომლებიც კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ცხოვრებასა და შრომით საქმიანობაზე მოგვითხრობენ.

ვულოცავ ჟურნალ „დროშას" დაარსების 50 წლისთავს და ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებ პარტიისა და მთავრობის ბრძნულ წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად მშრომელთა დარაზმვაში.

გუდუ მაჭარაძე,

წულუკიძის რაიონის სოფელ ივანდიდის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი

---

„დროშა" პოპულარული ჟურნალია. იგი ოპერატიულად ეხმაურება ჩვენს ცხოვრებაში წამოჭრილ ყველა საინტერესო და საჭირბოროტო საკითხს.

მე ჟურნალ „დროშის" ძველი და აქტიური მკითხველი ვარ, და არა მარტო მკითხველი, მისი თანამშრომელიც. ამ ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა ჩემი ორი მოგონება: „წლები და შეხვედრები", „დაუვიწყარი დღეები და წუთები". მეორე ნაწარმოები ეხება ლენინთან ჩემს შეხვედრებს ჟენევასა და პეტერბურგში.

ჩვენ, ჟურნალის მკითხველებს, გვინდა მის ფურცლებზე წავიკითხოთ კარგი, თანამედროვე ნარკვევები, სტატიები, მეცნიერულ-პოპულარული წერილები, მოთხრობები, ლირიკული ლექსები, მოგონებები, რომლებიც გაგვახსენებენ შორეულ, ჩვენი დიდი წინაპრების პატრიოტულ შემართებას.

ვულოცავ ჟურნალ „დროშას" დაარსების 50 წლის იუბილეს, მის კოლექტივს ვუსურვებ ისეთივე ენერგიით განაგრძოს ჟურნალის გამოცემის საქმე, როგორც ამას დღემდე აკეთებდა.

პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე

---

1951 წელს, როცა „დროშის" გამოცემა განახლდა, ჟურნალის პირველი ნომრის ყდაზე რუსთაველი მოწინავე მეფოლადის ფოტოსურათი დაიბეჭდა. ჟურნალს არც შემდეგ მოუკლია ჩვენთვის ყურადღება. „დროშის" ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება მასალები, რომლებშიც ქართველი მეტალურგების ცხოვრება, მათი შრომითი საქმიანობა, მიზნები თუ მისწრაფებებია გაშუქებული.

რუსთაველ მეფოლადეებს უყვართ „დროშა", ხალისით კითხულობენ მას. აი, ამიტომაც მინდა, ჩემი კოლეგების სახელით, სულითა და გულით მივესალმო 50 წლის იუბილარს და ჟურნალ „დროშის" კოლექტივს ბედნიერება, ახალი შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვო.

ვლადიმერ მეტრეველი,

მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

---

ძვირფასო კოლეგებო, ჟურნალ „გულისტანის" კოლექტივი გულითადად მოგესალმებათ ჟურნალ „დროშის" 50 წლისთავის იუბილეს გამო. მზიურ უზბეკეთიდან გიგზავნით მხურვალე სალამს და კეთილ სურვილებს.

ჟურნალ „გულისტანის"
მთავარი რედაქტორი ასკად მუხტარი.

---

ჩრდილო ოსეთის ორმოცი წლის ჟურნალის „მახ დუგის" რედაქციის კოლექტივი გულითადად ულოცავს თავის ქართველ ძმას „დროშას" ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. დიდი და პატიოსანი შრომა გასწია ჟურნალმა, რომ სახელოვან ქართულ ლიტერატურას უფრო ფართოდ გაეშალა ფრთები, ასულიყო მაღლა, რომ უფრო ლამაზი და ვაჟკაცური ყოფილიყო იგი.

გისურვებთ თქვენ და „დროშის" ავტორთა კოლექტივს წარმატებას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

გეხვევით, ძვირფასო ძმებო.

ჟურნალ „მახ დუგის" კოლექტივი.

---

## ძვირფასო კოლეგებო!

ჟურნალ „პუნალიპუ", რომელიც კარელიაში კალევალას სიმღერების მხარეში გამოდის, მზიური რესპუბლიკის ჟურნალ „დროშას" ულოცავს ორმოცდამეათე წლისთავის საზეიმო დღეს და უსურვებს წარმატებას ქართული ლიტერატურის აყვავების საქმეში.

მეგობრული სალმით,

ჟურნალ „პუნალიპუს" მთავარი რედაქტორის მოადგილე კ. რანტა

PUNALIPPU

---

სასახელო, ოქროს იუბილეს ზეიმობს „დროშა". მზიური საქართველოს ჟურნალს ძმურად მიესალმება ჟურნალ „მოლდავას" კოლექტივი, რედაქციის თანამშრომლებსა და მკითხველებს უსურვებს წარმატებებსა და ჯანმრთელობას.

პატივისცემით, ჟურნალ „მოლდავას" მთავარი რედაქტორი

ნ. დოროფეევი.

МОЛДОВА



ექვსი ძმადნაფიცის მონგრეული ქვანახშირი ერთ ჩამჩაში გროვდება, ერთად იწონება და თავდადებული შრომით მიღწეული ყოველი წარმატება ექვსივეს წილად მოდის.

გული არ უძლებს პარტიული კომიტეტის მდივანს, თორემ ზედმეტი შეკითხვა აღარც კია საჭირო, ევტიხი სვანიძის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები ისე როგორ ამოვლენ შახტიდან, რომ დღიურ გეგმას არ გადააჭარბონ.

შეკითხვა და შეხსენება რაღა საჭიროა! ბიჭების სიტყვა და საქმე ერთია, იტყვიან და შეასრულებენ კიდეც. აი, თუ გინდათ, მათი უკანასკნელი ვალდებულება ავიღოთ: ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის ცხრა თვის დავალებას საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისთვის შევასრულებთო, თქვეს ბიჭებმა. თქვეს და აკი პირნათლად გაანაღდეს თავიანთი სიტყვა.

* * *

— შახტი ფრონტია, შვილო, ფრონტი! — ხშირად უთქვამს ევტიხისათვის ძველ მეშახტეს დავით სუქნიძეს, — არავინ იცის, როდის და საიდან დაგატყდება ხიფათი. აქეთ ლავა იმუქრება, იქით მეთანის გაზი გიტევს, ხან ბიგები გიმტყუნებენ... ფრთხილად უნდა იყო... ნამდვილმა მეშახტემ ყველა დაბრკოლება უნდა გადალახოს, შვილო.

მასწავლებლის ეს დარიგება მუდამ ახსოვდა ევტიხის, მაგრამ ერთ დღეს მაინც მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა.

ევტიხი დილიდანვე ჩავიდა შახტში. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მხუთავი გაზის შემგრძნობი აპარატი დუმდა, სავენტილაციო მოწყობილობაც ნორმალურად მუშაობდა.

მეშახტემ შუბლზე ოფლი მოიწმინდა, ფეხი წინ წარსდგა და ის-ის იყო ქვანახშირის მონგრევა უნდა დაეწყო, რომ მოულოდნელად უცნაური ღრჭიალი გაისმა.

ხმაურს რყევა მოჰყვა, მეშახტის წინ აღმართული შავი გრუნტი შებორგდა.

ევტიხი მიხვდა, რომ „დარტყმა" იწყებოდა. შეტრიალდა, გასასვლელისკენ გაეშურა, მაგრამ უკვე გვიან იყო. გაისმა ძლიერი გრუხუნი და ჩამოზვავებული ქვანახშირის ნატეხმა, რომლებმაც სისხლით შეუღება თავი, ევტიხი ძირს დასცა.

მატარებელი ჩამოდგა. ▲

# ძმადნაფიცები



ცვლა დამთავრდა. ▲



▲ გეგმა გადაჭარბებით შესრულდება.

ევტიხი სვანიძის კომუნისტური შრომის ბრიგადაში ექვსი მნგრეველია — ექვსი ძმად შეფიცული ვაჟკაცი.

ტყიბულში აბა ვინ არ იცნობს საწმენდი სანგრევის მეშახტეებს: მიხეილ ქურციკიძეს, დანიელ შვანგირაძეს, იამა გვენეტაძეს, ზაურ ბრეგაძეს, ბენია ჯინჯიხაძესა და მათ თავკაცს ევტიხი სვანიძეს!

შრომამ აღამაღლა, შრომამ გახადა საჩინონი და იმიტომ იცნობენ მათ.

ბიჭები ჯერს მუდამ ერთად იწყებენ და ერთად ამთავრებენ.

ძაგძაგებენ სანგრევი ჩაქუჩები, გული ეფატრებათ მთებს, ქვანახშირის ვეება ნატეხები უწყვეტ ნაკადად მოედინება შახტიდან.

— როგორ არის საქმე? — კითხულობს ორჯონიკიძის სახელობის შახტის პარტიული კომიტეტის მდივანი ნოე კბილაძე.

გაოფლილი, გამურული მუშები იღიმებიან.

ამ ღიმილმა უკვე ყველაფერი თქვა.

ნოე კბილაძემ იცის, რომ დღევანდელი გეგმაც გადაჭარბებით არის შესრულებული.

რამდენიმე წელია, რაც ბრიგადის წევრები ჭირსა და ლხინს ერთად იყოფენ და გამარჯვებით მოპოვებულ სიხარულსაც ერთად ინაწილებენ.

მკურნალობა ორი წელი გაგრძელდა. იწვა სარეცელზე მეშახტე და შავი ფიქრები უღრღნიდა გულს.

— ნუთუ ყველაფერი გათავდა?! ნუთუ ვეღარ ვეღირსები შახტში ჩასვლას და ჩემს ამხანაგებთან მუშაობას?! — ეს კითხვები მოსვენებას არ აძლევდა ევტიხის.

როცა მომჯობინდა, საექიმო კომისიამ პენსიაზე გასვლა ურჩია. ევტიხიმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

— როგორ, ცოცხლად მმარხავთ?! საკუთარი თავი გინდათ გამომატირინოთ?! — ბორგავდა მეშახტე, — პენსიაზე არ გავალ... ისევ აქ დავრჩები, იოლ საქმეზე ვიმუშავებ!

ვერა და ვერ გატეხეს ვაჟკაცი. ევტიხი გამამდიდრებელ ფაბრიკაში განაწესეს, იოლი საქმე შეურჩიეს, გული კი, მეშახტის დაუდეგარი და გაუტეხელი გული, ევტიხის დღენიადაგ ისევ შახტისაკენ მიუწევდა.

და აჰა, ერთ მშვენიერ დღეს ევტიხი სვანიძემ კვლავ დაიხურა თავისი ჩაფხუტი, მოიმარჯვა ლამპა, სანგრევი ჩაქუჩი გულთან მიიხუტა და შახტისკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯდა.

გული გამალებით უცემდა. ახლაღა იგრძნო, რომ ცხოვრება გრძელდებოდა, არა, კი არ გრძელდებოდა, თითქოს თავიდან იწყებოდა.



▲ შახტის უფროსი ივანე ორჯონიკიძე ევტიხი სვანიძეს ულოცავს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოებას.



▲ ევტიხი სვანიძე

▼ წლევანდელი შვებულება ევტიხი სვანიძემ თავის ოჯახთან ერთად სოფელში გაატარა.



ევტიხი მალე საწმენდი სანგრევის ბრიგადას ჩაუდგა სათავეში. ბიჭები თავისაკით გაუტეხელები შეხვდა. შეეწყვნენ, ერთმანეთს მხარი აუბეს და მალე პირველი გამარჯვებაც იზეიმეს.

* * *

ევტიხი სვანიძე მხიარული კაცია. ენაწყლიანი საუბარი იცის.

— ჩვენი მეგობრობის ამბავი გაინტერესებთ? — გვეკითხება ევტიხი, — კი, ბატონო, რამდენიც გინდათ, იმდენ მაგალითს მოგიყვებით. ერთხელ ზაურ ბრეგაძეს ბავშვი გაუხდა ავად. გეგმა შესასრულებელი გვქონდა, მაგრამ მეტი გამოსავალი არ იყო. ავდექი და შახტის დირექტორთან შუამდგომლობა აღვძარი, რომ ზაური ორი კვირით გაენთავისუფლებინათ სამუშაოდან. ცოტა ადრე ჩავდიოდით შახტში, ცოტა გვიან ამოვდიოდით, მეტი მონდომებით ვშრომობდით და საქმეს უზაურობა არ დავატყეთ — ბავშვიც მალე გამოკეთდა და გეგმაც გადაჭარბებით შევასრულეთ... ერთხელ კაკალიკით ვაჟკაცი მიხეილ ქურციკიძე არ შეიქმნა ცუდად?! აქეთ ვეცით, იქით ვეცით და მიხეილი საავადმყოფოში გავაქანეთ. სანამ მკურნალობდა, ყურადღება არ მოგვიკლია, ძმებივით ვუდექით მხარში. ოჯახსაც მივუხედეთ... ისე არ იფიქროთ, ბატონო, თითქოს მარტო ჭირი გვაქვს საზიარო, არა, როცა ზაურ ბრეგაძეს მეოთხე გოგო შეეძინა, ისე მოვილხინეთ, ჭერი ავხადეთ სიმღერით.

ევტიხი სვანიძემ თავის ბიჭებს გახედა და ღიმილით განაგრძო:

— ახლა დანიელ შვანგირაძის ამბავს მოგიყვებით. ა, ხომ ხედავთ, სულში ჩასაძვრენი ბიჭია. „მეიყვანე ცოლი, ბიჭო!" ვუჩიჩინებთ წარამარა დანიელს, მარა, თქვენც არ მომიკვდეთ, სასიძოდ შეწკეპილი ბიჭი ყურსაც არ იბერტყავს. ბოლოს, გული რომ გავუწყალე, მოიღუშა და მკვახედ მომახალა: „შენ, ევტიხი, შახტში ხარ ჩემი ბრიგადირი, თვარა ცოლს მევიყვან თუ არა, მაი შენ არ გეკითხება!"

ყველანი გულიანად ვიცინით. ჯერის დრო ახლოვდება. ევტიხი სვანიძის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები შახტში ჩასასვლელად ემზადებიან.

* * *

ცაგერის რაიონის სოფელ ლუხვანოში უცხო კაცი ჩამოვიდა და ყმაწვილებს ტყიბულის პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლის გაგრძელება ურჩია.

ევტიხის მაშინვე იქით გაუწია გულმა, მაგრამ შინ უარი უთხრეს. მარტო ბიძამ დაუჭირა მხარი:

— წავიდეს აი ბიჭი შახტში, კაცი დადგება!.. ხომ იცით, რაფრად აფასებენ მეშახტეებს... ორდენი მაგათ არ აკლიათ და კაი ჯამაგირი... ვინ იცის, იქნებ მთავრობაშიც კი აირჩიონ?!

იმ დროს შეიძლება თვითონ ევტიხის ბიძასაც არ სჯეროდა თავისი სიტყვების, მაგრამ ბიჭი რომ ტყიბულში გაუშვეს სასწავლებლად, სწორედ მისი დამსახურება იყო.

როგორც კი რაიმე სასიხარულო ამბავი ჩამოვიდოდა ტყიბულიდან, ევტიხის ბიძას ვეღარ აჩერებდნენ:

— ე, რო გეუბნებოდით!.. ახლა? — იძახდა გახარებული კაცი.

სასიხარულო ამბავი კი ბევრჯერ ჩამოსულა ლუხვანოში.

ევტიხი ჯერ კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. მალე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად აირჩიეს. 1971 წლიდან ევტიხი სვანიძე არჩეულია ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მესამე საექსპლოატაციო უბნის პარტიული ორგანიზაციის მდივნად, საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის წევრად და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

— ე, რო გეუბნებოდით! — ახლა? — ვინ მოთვლის, მერამდენედ შესძახა ევტიხის ბიძამ, როცა სოფელში შეიტყვეს, რომ მათი ევტიხი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ევტიხი სვანიძე დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მეშახტის დიდების პირველი ხარისხის სამკერდე ნიშნით, შარშან კი, გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, იგი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოვეს.

ბიჭებს ყველაზე მეტად ემაყებათ თავიანთი ბრიგადირის წარმატება. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებებმა ევტიხი სვანიძის კომუნისტური შრომის ბრიგადა ახალი წარმატებებისათვის აღაფრთოვანა. ბიჭები ძალ-ღონეს არ ზოგავენ. მათ გადაწყვეტილი აქვთ, ხუთწლედის გეგმა მიმდინარე წლის ბოლოსათვის გაანაღდონ.

* * *

მეშახტეთა ქალაქი ტყიბული მწვანე მთებითაა შემოჯარული. ღამით, ქალაქს ბინდი რომ ჩამოაწვება, ცაზე ვარსკვლავები აკიაფდებიან.

მათ შორის ერთი ყველაზე დიდი ელექტროვარსკვლავიც აინთება ხოლმე.

ამ ვარსკვლავს მაშინ ანთებენ, როცა შახტა ქვანახშირის გამონგრევის დღიურ ნორმას ასრულებს, ანდა ამ ნორმას აჭარბებს.

ჰოდა, როცა ციმციმებს დიდი ვარსკვლავი, ციურ მნათობებსაც მაშინ ეძლევათ შნო და ლაზათი, მაშინ ყველა გახარებულია — დიდიცა და პატარაც, მეშახტეც, პედაგოგიც, გამყიდველიცა და ექიმიც.

ვარსკვლავი კი ციმციმებს ტყიბულის თავზე, გვიყვება მეშახტეთა ხიფათით აღსავსე გმირულ შრომაზე.

ვარსკვლავის ციმციმი იმის მაუწყებელია, რომ წინ კიდევ ახალ-ახალი გამარჯვებები ელით სახელოვან მეშახტეებს.

უშანგი ზარეკიძე

ფოტო გივი შეყილაძისა

# უძლეველი მეგობრობა

## სოციალისტური პოლონეთი 30 წლისაა

თანამედროვე პოლონეთი ეს არის მძლავრი ინდუსტრიის, მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის, აყვავებული ეროვნული კულტურის სუვერენული სახალხო სახელმწიფო. სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს პოლონეთის საუკუნოვანი ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ჩამორჩენილობა, ბურჟუაზიულ-მემამულური ექსპლოატაცია და მშრომელთა სიღატაკე.

სახალხო პოლონეთს სათავე მისცა დიდმა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, რომელსაც პოლონელი ხალხი გმირულად აწარმოებდა ჰიტლერული დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ უმძიმესი ისტორიული განსაცდელის წლებში ხალხის ბედნიერებისათვის პასუხისმგებლობა, პოლონეთის სახელმწიფოს აღდგენისათვის ზრუნვა იკისრეს სოციალური პროგრესის ძალებმა რევოლუციური მუშათა მოძრაობის მეთაურობით.

პოლონეთის აღორძინების გარიჟრაჟზე სწორედ პოლონელი მუშები ჩაუდგნენ სათავეში ხალხს, რწმენა და ოპტიმიზმი ჩაუნერგეს მშრომელებს, აღაფრთოვანეს ისინი ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის.

პოლონელი ხალხის უდიდესი მონაპოვარია სახალხო, სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც იშვა და განმტკიცდა როგორც ხალხის ძალაუფლებისა და ნების განსახიერება. მუშების, გლეხების, მშრომელი ინტელიგენციის მონოლითური შეკავშირებით სოციალისტურმა პოლონეთმა უმოკლეს ხანში არნახულ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების ყველა დარგში, დამსახურებული პატივისცემა, გავლენა და ავტორიტეტი მოიპოვა საერთაშორისო ასპარეზზე.

ახალმა პოლონეთმა მძიმე, თავდადებული შრომით აღადგინა მეორე მსოფლიო ომის დროს მიწასთან გასწორებული პოლონური სოფლები და ქალაქები, სული ჩაუდგა დადუმებულ ბრძმედებს, შახტებს, რკინიგზებს,ააგო ახალი ფაბრიკები და ქარხნები, დასაბამი მისცა მშრომელი ადამიანების სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის განუხრელ ზრდას.

ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლება, სახალხო სახელმწიფოს შექმნისათვის მასების რევოლუციური ბრძოლა, ყველაფერი, რითაც ახლა ასე სამართლიანად ამაყობს სოციალისტური პოლონეთი, განუყრელად არის დაკავშირებული პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელ საქმიანობასთან. სწორედ კომუნისტების ნაცადი პარტია ხელმძღვანელობდა და დღესაც ჩვეული სიმტკიცით ხელმძღვანელობს პოლონეთის სისხლსავსე ცხოვრებას. სხვა მოძმე პარტიებთან ერთად პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია თანმიმდევრულად იბრძოდა და იბრძვის მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების შესაბამისად დაუცხრომლად ესწრაფვის განავითაროს მეგობრული თანამშრომლობა ყველა ქვეყანასთან, მათი წყობილების მიუხედავად.

აი, ასეთ ისტორიულ ვითარებაში შეეგება სოციალისტური პოლონეთი თავის დიდ ეროვნულ დღესასწაულს — პოლონეთის აღორძინების 30 წლისთავს.

მოძმე პოლონეთის საყოველთაო-სახალხო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, პოლონელი მშრომელების უსაზღვრო სიხარულის უშუალოდ გასაზიარებლად მიმდინარე წლის 19 ივლისს ვარშავაში ჩაფრინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

გულღიად და გულწრფელად, ძმური გულითადობით შეხვდა სადღესასწაულოდ მორთული ვარშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მიწვევით.

თვითმფრინავის კიბესთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გულთბილად შეხვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გ. იაბლონსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. იაროშევიჩი.

დედაქალაქის სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებში ასიათასობით ვარშაველი შეკრებილა. ყველგან მოჩანს ალისფერი საბჭოთა და თეთრწითელი პოლონური ალმები, მისასალმებელი ტრანსპარანტები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საყოველთაო-სახალხო შეხვედრა, მშრომელებთან მისი საუბრები, მხატვრული კოლექტივების მისასალმებელი გამოსვლები ქუჩებში და მოედნებზე, რომლებითაც ავტომანქანების კორტეჟი მიდიოდა, გადაიქცა საბჭოთა ქვეყნისა და მისი ხალხებისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი პოლონელი ხალხის მხურვალე, ძმური გრძნობების მკაფიო დემონსტრაციად.

პოლონეთის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო რაიონი სილეზია მეორე დღეს ზეიმით შეეგება აქ ჩამოსულ საპატიო სტუმრებს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. გერეკს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პ. იაროშევიჩსა და სხვა ხელმძღვანელებს.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი და პოლონეთის ხელმძღვანელები წავიდნენ სოციალისტური პოლონეთის ერთ-ერთ უდიდეს ახალმშენებლობაზე — მეტალურგიულ კომბინატ „კატოვიცეში“, რომელიც შენდება საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით. საბჭოთა მშრომელებისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი პოლონელი მუშათა კლასის ღრმა პატივისცემის ნიშნად, პოლონელი და საბჭოთა მუშების ურღვევი მეგობრობის დასტურად დამსწრეთა ტაშის გრიალში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადასცეს მეტალურგიული კომბინატის მუშათა კოლექტივის საპატიო წევრის № 1 მოწმობა.

სილეზიის ქალაქების — ჩელიაძის, სემიანოვიცე-სლენსკეს, ბიტომის, სვენტოხლოვიცეს მცხოვრებლები, სადაც გაიარა ავტომანქანების კორტეჟმა, გულთბილად, დიდი გულითადობით ხვდებოდნენ საპატიო სტუმრებს.

აქვე, სილეზიაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო მეშახტის წოდება. ეს წოდება მას მიენიჭა თვალსაჩინო დამსახურებისათვის საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისა და საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური პოლონეთის ხალხთა თანამშრომლობისა და მეგობრობის ყოველმხრივი განვითარების საქმეში.

ნაშუადღევს ათი ათასზე მეტი სილეზიელი მუშახტე, მეტალურგი, მელითონე, მუშათა და სხვა პროფესიების ინტელიგენციის წარმომადგენელი, მუშათა მოძრაობის ვეტერანი შეიკრიბა სპორტის სასახლეში, სადაც გაიმართა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მასობრივი მიტინგი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მას დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

სახალხო ზეიმის დასკვნითი ნაწილი იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის სხდომა, რომელზეც შეიკრიბნენ სეიმის დეპუტატები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მთავრობის წევრები, რევოლუციური ბრძოლის ვეტერანები, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, შრომის მოწინავენი, სხდომას ესწრებოდნენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების დელეგაციები.

დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. გერეკს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს გ. იაბლონსკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პ. იაროშევიჩს, სხვა თვალსაჩინო პოლონელ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს.

სახალხო პოლონეთის ოცდაათი წლის გზისადმი მიძღვნილი ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. გერეკმა.

ამ სიტყვაში, სხვა საკითხებთან ერთად, ნათლად, მკაფიოდ და ამომწურავად აისახა ის დიდი მადლიერების გრძნობა, რომლითაც მთელი პოლონელი ხალხია გამსჭვალული საბჭოთა კავშირის მიმართ. საბჭოთა არმიის გამარჯვებამ ფაშისტურ გერმანიაზე მოსპობას გადაარჩინა პოლონელი ხალხი, მოძმე სოციალისტური ქვეყნების, პირველ რიგში საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა მძლავრ, მაღალგანვითარებულ მოწინავე სახელმწიფოდ გადაიქცა.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომელსაც სხდომის მონაწილენი მხურვალე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა ზეიმობდა თავის 30 წლისთავს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს სეიმის სვეტებიან დარბაზში საზეიმო ვითარებაში გადაეცა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო — ვერტუტი მილიტარის (მხედრული მამაცობის) ორდენის დიდი ჯვარი.

დიდ სახალხო ზეიმის დღეებში ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. გერეკს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს გ. იაბლონსკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პ. იაროშევიჩს.

დეპეშაში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ადამიანები მუდამ გაუფრთხილდებიან მეგობრობას სოციალისტურ პოლონეთთან და ყოველ ღონეს იხმარენ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

სახალხო პოლონეთის 30 წლისთავის აღსანიშნავმა ზეიმმა ერთხელ კიდევ ნათლად დაადასტურა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი პოლონელი ხალხის უსაზღვრო ერთგულება, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ძმური, ურღვევი ერთიანობა.



ვარშავა. აეროპორტში შეხვედრის დროს. ლ. ი. ბრეჟნევი და ე. გერეკი მიესალმებიან ერთმანეთს.



ვარშავა, 1945 წ.

# პოლონეთი



მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი საწარმო.

პოლონეთის ახალი მოქალაქე.



პოლონელი ქალიშვილები.



ვარშავა.



ზეიმზე.





თბილისის უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეპირმეტყველების ლაბორატორიაში.



თბილისის უნივერსიტეტის ახალი კორპუსი.

ფოტო გივი შეილაძისა



ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო ლაბორატორიაში.

# ჩვენი უნივერსიტეტი

სტუდენტი ბიოლოგები.



ქიმიის ლაბორატორიაში.



მზე ლამის ცეცხლს უკიდებს დედამიწას. ასფალტიანი გზის ორივე მხარეს მინდვრები გადაჭიმულა. პურის ყანა გაუჭრიათ და ნაწვერალზე ტრაქტორი გაუტარებიათ. კურდღლისცოცხა ყვითლად მოსდებია გზის პირებს. აი, ესეც სიღნაღის გადასახვევი. აქედან იწყება რაიონის ველ-მინდვრები, სახნავ-სათესები. გზის მარჯვნივ, ყანის პირას ძველებური ტრაქტორი დაუდგამთ. გამვლელ-გამომვლელო, ამ ტრაქტორს უსათუოდ შენიშნავ და გაგიკვირდება, იმდენად პრიმიტიულია დღევანდელ მძლავრ მანქანასთან შედარებით. აი, ეს იყო პირველი ტრაქტორი, რომელიც რაიონში ჩამოიტანეს და რომელსაც პირველი ქართველი მექანიზატორი ქალი თამარ ნატროშვილი მართავდა. ეს ტრაქტორი იმის ნიშნად დგას, რომ ამ მიწაზე ხვნასა და თესვას მისდევდნენ, რომ ქერი და პური ძველთაგანვე აქაური გლეხკაცის სიმდიდრე იყო.

მას აქეთ კარგა დრო გავიდა. მოხშირდნენ კომბაინები, ტრაქტორები, მექანიზატორები. თამარ ნატროშვილი დაბერდა, დაბერდნენ მისი მიმდევარი სხვა მექანიზატორი ქალებიც: ნინო ბაგაკიშვილი, ანეტა ბალარჯიშვილი, ანა კოჭლამაზაშვილი და სხვანი. მაგრამ მიწა არ დაბერებულა, იხვნება, ითესება და იმკება პური. მოვიდა ახალი თაობა, მოვიდნენ უხვი მოსავლის ოსტატები, საქვეყნოდ განთქმული კომბაინერები და გააგრძელეს წინაპართა სახელოვანი ტრადიცია.

აი, ესეც ციხე-გალავნიანი სიღნაღი, ულამაზესი ქალაქი! ქალაქის კარიბჭიდან გადავცქერით ცხრამეტი ათას ჰექტარზე გადაჭიმულ სახნავ-სათესს.

სწორედ მაშინ გამახსენდა ეს ლექსიც:

ყანა კურდღლობს, დაპურდა,
მწყერი ტანს ველარ ერევა,
ხომ იცი, ბიჭო, უშენოდ
ჰოპუნა არ იმღერება.

თვალწინ დამიდგა ომის უმძიმესი წლები. ხორბალი მაშინ საქართველოში თითქოს ბევრი ითესებოდა, თითქოს-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მაშინ პრი-

სოლომონ დემურხანაშვილი
უშანგი ბედია

# ყანა კურდღლობს, დაპურდა!


ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკის შეკეთება.

მოსავლის აღება.

სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობაში მარცვლეულის უხვი მოსავალი მიიღეს.

მოწინავე მექანიზატორი როლანდ გოგინაშვილი მინდვრიდან შინ დაბრუნდა.

ფოტო ანზორ გოგოლაძისა







მიტიული ხერხით ხნავდნენ და ლეწავდნენ და კაცს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ბევრი ითესებაო.

ბოდბისხეველ მექანიზატორს კაკო ბეგიაშვილს კარგად ახსოვს ის უმძიმესი წლები. მაშინ შვიდი-რვა წლის ბავშვი იყო. პური ძნელი საშოვარი გახდა. ვაჟკაცები ომში გაკრეფილიყვნენ, ტექნიკა ფრონტს ვერ აუდიოდა და სოფელი ისევ პრიმიტიულ ხერხს დაუბრუნდა. ხელით მკიდნენ ყანას, ძველებურად დასძახოდნენ „[illegible]ნას“ და მინ[illegible]ს ქონდრის კაცებით — ულოთი შეკრული ძნებით მოჰფენდხენ ხო[illegible]. მერე კალო და კევრში შებმული ცხენი, ხელით დარჩეული ხორბალი, ორღობეებში ძნით დატვირთული ურმების ჭრიალი, მთვარიანი ღამე და მოხუც გლეხკაცის სევდიანი ურმული.

სოფელში კარგი ვაჟკაცი ის იყო, ვისაც მკაში ბადალი არ ჰყავდა. როგორ უნდოდა მაშინ კაკოს თვითონაც მოწინავე მკელი ყოფილიყო. იმდენი მოემკა, რამდენსაც ხუთი კარგი ვაჟკაციც ვერ მომკიდა. მერე ომი დამთავრდა, ცხოვრება ნელ-ნელა ჩადგა კალაპოტში. ეჰ, ბევრმა ველარ იმღერა „ჰოპუნა“ ყანაში, მაგრამ ისევ წამოიზარდნენ ბიჭები. სოფლებში თითო-ოროლა კომბაინი შემოაგრუხუნეს. ცნობისმოყვარე ხალხი გარს ეხვეოდა უცნაურ მანქანას, რომელიც კიდეც მკიდა და კიდეც ლეწავდა. ეგებ მაშინ გადაწყვიტა პატარა ბიჭმა კაკო ბეგიაშვილმა, რომ კომბაინერი გამხდარიყო?! სწორედ ამ უცნაური მანქანით მომკიდა და გალეწავდა ერთ დღეში იმდენს, რასაც ასი კაცი ვერ აუვიდოდა. ასე იყო თუ ისე, ის წლები ბეგიაშვილს კარგად ახსოვს. ნატვრა აიხდინა, დღეს იგი რაიონში მოწინავე კომბაინერია.

სამშობლოს მივცეთ 140 ათასი ტონა მარცვლეული! ასეთია საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანა. ყურძნისა არ იყოს, პურის კუთხე ძირითადად კახეთია, ნოყიერი შირაქის ველი — წითელწყაროსა და სიღნაღის სახნავ-სათესები.

ჩვენ ახლა სიღნაღელ მექანიზატორებთან ვართ: ბეგიაშვილთან, ოტიაშვილთან, კუდინოვთან...

ათ-თორმეტ დღეში უდანაკარგოდ ავიღოთ მთელი მოსავალი, ასე გადაწყვიტეს სიღნაღის რაიონის მექანიზატორებმა და ეს გადაწყვეტილება, ეს განზრახვა მთელს საქართველოს გააგონეს, რესპუბლიკის ყველა მექანიზატორს მოუწოდეს, კვალში ჩასდგომოდნენ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა და მხარი დაუჭირა სიღნაღელთა ინიციატივას. და აი, დაიწყო შეჯიბრება. სიღნაღელებმა წითელწყაროელი მექანიზატორები გამოიწვიეს, ბოდბისხეველებმა — ნუკრიანელები...

„ვითვალისწინებთ რა დიდ შესაძლებლობებს, — ნათქვამია სიღნაღელ მექანიზატორთა მიმართვაში, — ვალდებულებას ვიღებთ, რომ მაღალნაყოფიერად გამოვიყენებთ ჩვენს განკარგულებაში არსებულ თითოეულ კომბაინს, ტრაქტორს, ავტომანქანასა და სხვა სახის ტექნიკას. მოსავალს 19 811 ჰექტარზე ავიღებთ 12 სამუშაო დღეში“.

აგუგუნდნენ კომბაინები. სისხამ დილიდან შებინდებამდე მუშაობდნენ მინდვრის ხომალდები ბოდბისხევისა თუ ნუკრიანის, ტიბაანისა თუ ძველი ანაგის ველზე.

— ყოველდღიურად 30 ტონა ხორბალს ვიღებდი, — ამბობს კაკო ბეგიაშვილი. ჭმუხი, მზეზე გარუჯული ვაჟკაცი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ეს წუთია გამოვიდა კომბაინიდან. თავი შევაბეზრეთ შეკითხვებით და ისიც უხალისოდ, მაგრამ ღიმილით გვიყვება რა უნდა გააკეთოს კომბაინერმა, რომ მოსავალი უდანაკარგოდ აიღოს.

— რა და, პირველ რიგში, კომბაინი კარგად უნდა იყოს გამართული, იგრე უნდა დაარეგულირო, რომ არც ძაან მაღლა გაიაროს, არც ძაან დაბლა. აბა, თუ ხორბალი ჩააბნიე, რაღა კომბაინერი ხარ! ჩემ ბალღობაში მახსოვს, პურის ნატეხი რომ დამივარდებოდა, მამაჩემი მეტყოდა, აიღე, ხული შეუბერე, აკოცე და ისე შეჭამეო. ასეთ პატივში ჰყავდა პური ჩვენ ხალხს, განა ეხლა რომ ეგრე უდიერად ვექცევით... ხორბლის ჩაბნევა ცოდოა...

ნუკრიანელი დურმიშხან ოტიაშვილი ცნობილი კომბაინერია. შენ რაღას იტყვი-მეთქი, ვეუბნები.

დურმიშხანი მსხვილ თითებს უხერხულად ატოკებს და ამბობს:

—ყველაფერი მონდომებაზეა, განა მე სხვაზე კარგი ბიჭი ვარ! ეგ არის, რომ სხვა შეიძლება ჩემზე ცოტა ზარმაცი იყოს... კომბაინი მუდამ წესრიგში უნდა გქონდეს. წუთი არ უნდა დაჰკარგო. კარგი კომბაინერი მინდვრად მაშინ გავა, როგორც კი ყანა ნამს შეიშრობს და მანამ არ მიატოვებს მკას, ვიდრე ნამს არ დაიყრის. ამინდს დაშურება უნდა. გარდა ამისა, კაცს სინდისი უნდა გქონდეს, წესიერად უნდა გალეწო, წესიერად უნდა მოხნა. აბა, იგრე კარგ მოსავალს როგორ მიიღებ?!

ამასვე ამბობენ ნუკრიანელი მიხეილ კუდინოვი და ტიბაანელი გივი ლათიბაშვილი, რაიონის სახელოვანი ვაჟკაცები, რომლებმაც არაერთხელ ასახელეს ბეჯითი შრომით სოფელი.

დღევანდელ მკას თავისი ეშხი და სილამაზე აქვს. შემოვა ყანა, დაპურდება და აგუგუნდებიან კომბაინები... მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მანქანები მუშაობენ, პურეულის აღება მაინც სიმარჯვესა და ვაჟკაცობაზეა დამოკიდებული.

მოსავალი უკვე ბეღელშია. სიღნაღელმა მექანიზატორებმა ქვეყნის წინაშე მიცემული პირობა შეასრულეს! — სამშობლოს გეგმის ზევით მისცეს ხუთი ათასი ტონა მარცვლეული! მოსავალი აღებულია, მაგრამ ახლა მინდორში მუშაობა როდი წყდება. ბევრი საქმე აქვთ მექანიზატორებს. პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფისათვის მკის მეორე დღესვე დაიწყეს ნამჯის გამოზიდვა და დაზვინვა მეცხოველეობის ბინებთან. მოსავლის ნარჩენებისაგან იწმინდება ნაკვეთები, იხვნება და ნაწვერალზე ითესება სიმინდი.

აჰა, თავდება გრძელი, მომთენთავი დღე. ბინდი წვება ალაზნის ულამაზეს ველზე, ბინდში იძირება თვითონ სიღნაღიც. ჩვენ ვტოვებთ იქაურობას და ისევ მოასფალტებულ გზას ვადგებით: გზის პირას ძველი, ნატროშვილისეული პირველი ტრაქტორი გვეგებება. ახლა ეს მინდვრები უკვე იხვნება და ითესება. შემოდგომით ჯეჯილი აბიბინდება და გამვლელი, ალბათ, თავისთვის წაიღიღინებს:

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო,
იმის მარჯვენის ჭირიმე —
ვინც გთესა, მოგიყვანაო!

ვტოვებთ სიღნაღელ მხვნელ-მთესველებს და გვჯერა, რომ როცა სიღნაღს სტუმრები ეწვევიან, ისინი მარტო ქალაქის სიძველითა და სილამაზით კი არ მოიხიბლებიან, არამედ გაოცდებიან აქაური ხელგამრჯე ვაჟკაცებითაც: შრომის ვეტერანებით, მექანიზატორებითა თუ მევენახეებით, რომლებითაც ასე ამაყობს რაიონი, და არამარტო რაიონი!

## დაამზადეს ქართველმა სპეციალისტებმა



### მათი წვლილი

სარწყავი მიწათმოქმედების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რწყვის სრულყოფილი მეთოდების მიგნება-დამუშავებაზე. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნური დაწვიმების შემდგომ განვითარებას.

საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებისათვის დაძაბული მუშაობა წარმოებს. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა უკვე შეიმუშავეს და წარმოებაში დანერგეს შორჭავლიანი ახალი საწვიმარი აპარატები, მაღალი წარმადობის საწვიმარი აგრეგატები, სტაციონალური დასაწვიმებელი სისტემები.

ახალი აპარატურა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი სარწყავი მიწათმოქმედების შემდგომ განვითარებას.



### ახალი გაზონები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღის მეცნიერ-თანამშრომელმა გურამ აბესაძემ დაამუშავა გაზონების გაშენების მეთოდი თბილისის პირობებისათვის.

გაზონების გასაშენებლად წინათ იყენებდნენ შემოტანილ მცენარეებს, რომლებიც ძნელად ეგუებოდნენ ადგილობრივ პირობებს. საგაზონე მეურნეობა მალე მეჩხერდებოდა, დეკორატიულობის დონეც დაბალი იყო. ხანგრძლივი დაკვირვებებისა და გულმოდგინე შესწავლის შედეგად მეცნიერმა გამოავლინა პერსპექტიული საგაზონე მცენარეები: თეთრი ნამიკრეფია, მდელოს თივა, ცოისია ვიწროფოთოლა, წითელი წივანა, მხოხავი ნამიკრეფია და სხვა.

აღნიშნული დეკორატიული საფარველი სწრაფად იზრდება, დიდხანს ინარჩუნებს მწვანე ფერს, ყინვისა და გვალვის მიმართ გამძლეა, ცოცხლობს ათთხუთმეტ წელიწადს და შედარებით ნაკლებ მოვლა-პატრონობას საჭიროებს.



# ლექსები

მედეა კახიძე

## მე ვერ ვაპატიებ

მე ვერ ვაპატიებ ჩემს თავს,
თუ შენ
ჩემი ბრალით გაწვიმს,
თავს რით გავიმართლებ
შენთან,
თუ ჩიტს მომიკლავენ
თვალწინ.
რითი დავიმშვიდო თავი,
თუ გულს ვერ აგინთებ
კვარად,
თუ კი ასახელად თვალის
ჩემი გაღიმება კმარა.
ვეღარ მოვერევი სევდას,
ჩუმი სინანული დამწვავს,
თუ კი გჭირდებოდა ჩემგან.
მხოლოდ,
ხელის ერთი გაწვდა.
როგორ ვაპატიებ
ჩემს თავს,
მე რომ ცოდვა მედოს დიდი,
ან ვით
ქვეწარვდგები შენთან
ან ვით დავიმშვიდებ სინდისს.

## ამ წყალობისთვის

მეთუმეჭვინებს და ვამბობ
შენს საგალობელს,
თელავ და ბარდო,
დამედარდება და ვდარდობ
შენს სადარდებელს,
კახეთო, ქართლო!
სამშობლოვ ჩემო
სულ ერთო ადლო,
ამ წყალობისთვის
გმადლობ, და გმადლობ!

## * * *

ვეღარ გავიმინდვრებ გაქცეულ მინდვრებზე,
რუს ფეხზე დაჯდომია
ყინულის ბებერა,
ფოთლები ღონავენ, უღონო ღერებზე,
უცდიან ქარის
ღონიერ შებერვას.
სიცივე ცაცხანით დააფრთხობს წივწივებს
და ქარებს ხნულებში
ქორივით გატრუნავს,
მზე ცაზე დადრკება და ყველა მიწიერს,
ზამთარი გაუჩენს
ხვალინდელ საზრუნავს.
თავზე ჩამოგვამხობს ცის მაღალ მინარეთს,
თავს მდაბლად დახრიან
ხეები უკლებლივ,
ალაზნის ჭალებში მბრძანებლის წინაშე
ქედს არ მოიხრიან
ამაყი მუხები!
მათ ალბათ არც ძალუძთ თავების ჩაქინდვრა,
თუმც ქარში ემსხვრევათ
გულადი ტოტები,
და ვიცი ამ ქვეყნად ვერავინ გამქირდავს,
რადგან მეც მათსავით
ამაყი მოვკვდები!

## მე შენი ქვეყანა ლამაზი

იუგოსლაველ პოეტ ქალს დესანკა
მაქსიმოვიჩს

მე შენი ლამაზი
ქვეყანა
მახარებს
და მისი წარსული
მაღონებს,
შენ ალბათ
ამ ზეცამ შეგმატა
სინათლე
რწმენა და
ძალღონე.

რამ გადამავიწყოს
ტყიანი,
მდინარე
ჭალა თუ
მინდორი,
და შენი თვალები
ჭკვიანი,
ასეთი თბილი და
მიმნდობი.
შენ ცდილობ
ჩემს სათქმელს
მიუხვდე,
თვალებში
მზის ღვენთი
ჩამენთოს,
მე მხიბლავს
სერბების სიუხვე
და ჩვენი ტკივილი
საერთო.
მდუმარედ გავცქერი
მთა და ხევს,
ნისლებში ჩაყვინთულ
სანახებს,
მე წავალ
და შენს დიდ
სიყვარულს
ჩემს გულზე
ვაზივით ავახვევ.
წავალ და
უზადო ღიმილი
გამყვება,
რწმენად და
ხალისად,
გამყვება
სიშორის ტკივილი,
იმედი, დღეის და
ხვალისა.
მე შენი ლამაზი
ველები
ჩემს მზიან
სამშობლოს მაგონებს,
მივდივარ,
ვერაფრით ველევი
შენს გულზე
მიჯაჭვულ მთაგორებს.

# დაამზადეს ქართველმა სპეციალისტებმა



## თბილისური ბაქტერიოფაგები

საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაამუშავეს დიზენტერიისა და ტიფსაწინააღმდეგო ბაქტერიოფაგების დამზადების ახალი ტექნოლოგია.

ადრე ამ პრეპარატებს თხევადი სახით უშვებდნენ, მათი გამოყენება ხშირად დიდ უხერხულობას იწვევდა, ახლა კი აღნიშნულ ბაქტერიოფაგებს მჟავაგამძლე გარსიანი ტაბლეტის სახით ამზადებენ.

ინსტიტუტი ქართველ მეცნიერთა მიერ შემუშავებული მეთოდით დამზადებულ მილიონობით ტაბლეტს აწვდის ჩვენს ქვეყანას დიზენტერიისა და ტიფით დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.



## ტექნოლოგიური სიახლე

თბილისის ავეჯის კომბინატი „განთიადი“, რომელსაც დაარსების 20 წელი უსრულდება, ახალ ტექნოლოგიურ პროცესებს ნერგავს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ამას წინათ კომბინატში დაამონტაჟეს ავტომატური ხაზი, რომელიც მექანიკურად ამუშავებს ფარის დეტალებს.

სპეციალისტებმა ავეჯის კომბინატში სხვა სიახლეც დანერგეს. ჩვენს რესპუბლიკაში აქ პირველად გამოუშვეს ავეჯი, რომელსაც საგანგებოდ დამუშავებული, მყარი ქაღალდი — ტექსტური აქვს გადაკრული.

ამ სიახლემ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ავეჯის გარეგნობა, გაიზარდა შრომისნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

მომხმარებლები მალე დიდი რაოდენობით მიიღებენ კომბინატის მიერ გამოშვებულ ახალ ავეჯს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაკეტები უტევენ ღრუბლებს



ქურძენი სიმწიფეში შევიდა.

ალაზნის თვალუწვდენელ ველზე ქარვისფრად ელავს ფოთლებში დახუნძლული რქაწითელი.

ცივგომბორის თავზე კი მოულოდნელად რუხი, საავდრო ღრუბლები იკრიბება.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკის სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის პოლიგონის ერთ-ერთ სარაკეტო საგუშაგოზე განგაში ცხადდება.

— გვიახლოვდება კონვექციური ღრუბლების მძლავრი ტალღა! — იუწყება რადიოლოკაციის განყოფილება.

სპეციალისტები სწრაფად ანგარიშობენ ღრუბლების შესაბამის პარამეტრებს. „ალაზნის“ სისტემის თორმეტლულიანი სარაკეტო დანადგარები ჭურვებით ივსებიან... იტენება.

წამიც და, გარინდებულ გარემოს მძლავრი გრუხუნი აყრუებს. ერთმანეთის მიყოლებით ცაში იჭრებიან ცეცხლოვანი რაკეტები.

ბრძოლა კარგა ხანს გრძელდება. ალაზნის ველი ახლა ფრონტსა ჰგავს, სადაც სარაკეტო საგუშაგოს თანამშრომლები თავგამოდებით იბრძვიან სახალხო დოვლათის გადასარჩენად.

ეს მძიმე, მეცნიერულ გაანგარიშებაზე დაყრდნობილი ბრძოლა ხშირ შემთხვევაში ადამიანის გამარჯვებით მთავრდება. სტიქია უკან იხევს.

სარაკეტო საგუშაგოს მსროლელი ვ. ძმუკაშვილი.

კახეთის ზვრები.

ამინდზე დაკვირვება.









ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიისფრად ჩაყამულ ღრუბლებში შეჭრილი ქიმიური ჭურვები გარკვეულ რეაქციას იწვევს და სეტყვის ღრუბელს ან შლის, ანდა წვიმის ღრუბლად გარდაქმნის ხოლმე.

სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის პოლიგონს მჭიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული ჩვენი რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოსთან, აეროლოგებთან, მეტეოროლოგიური საგუშაგოს სინოპტიკოსებთან. სწორედ მათ მიერ გამოგზავნილი ოპერატიული მონაცემებით განისაზღვრება, თუ რომელ სარაკეტო საგუშაგოდან უფრო მიზანშეწონილია სეტყვის ღრუბლებთან ბრძოლა.

ქართველმა მეცნიერებმა დიდი ღვაწლი დასდეს სეტყვასთან ბრძოლას. სწორედ მათი ინიციატივით შეიქმნა კახეთის ზონის სეტყვის საწინააღმდეგო სამსახური, რომელიც მრავალი წლის დაძაბული და ნაყოფიერი შრომის შედეგია.

ჩვენი სპეციალისტების მიღწევებმა საერთაშორისო მოწონება დაიმსახურა, მათი მაგალითისამებრ სეტყვის საწინააღმდეგო სამსახური ახლა უცხოეთშიც იქმნება. ქართველი მეცნიერების შრომებით დაინტერესდნენ უნგრეთში, იუგოსლავიაში, იტალიაში...

შორს აღარ არის ის დრო, როცა ადამიანი შეძლებს მთლიანად და საბოლოოდ დაამარცხოს სეტყვა.

ვერტმფრენმა ჭურვების ახალი პარტია ჩამოიტანა.

რადიოზონის აშვება.

ეს დანადგარები ზვრებს იცავენ.

ფოტო ფელიქს კრიმსკისა







გიორგი ლეონიძე და
დიმიტრი გულია
1954 წ.

ფოტო მ. ტარასოვისა

# უკვდავია ჩემს ხსოვნაში

**ბაგრატ შინკუბა,**
აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე,
აფხაზეთის სახალხო პოეტი

დღეს ჩვენი საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურა ზეიმითა და სიხარულით აღნიშნავს დიმიტრი გულიას დაბადების 100 წლისთავს. დიმიტრი გულია მგზნებარე პატრიოტი იყო საბჭოთა სამშობლოსი და ქვეყნიერებაზე ყველა საგანძურზე მეტად უყვარდა იგი.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, გულწრფელად უნდა ითქვას, რომ აფხაზი ხალხის ნიჭი არავისში არ გამომჟღავნებულა ისე მკაფიოდ, როგორც დიმიტრი გულიას შემოქმედებაში. მისმა შემოქმედებამ სამართლიანად დაიკავა საპატიო ადგილი მდიდარ მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში.

დიმიტრი გულიას მრავალფეროვანი ნიჭიერების ფორმირებაში დადებითი გავლენა იქონია დიდმა რუსულმა მწერლობამ, მოძმე ქართველი ხალხის კულტურამ და განსაკუთრებით კი ქართული ლიტერატურის ისეთმა გამოჩენილმა ოსტატებმა, როგორიც იყვნენ ვაჟა ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი...

დიმიტრი გულიას მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ბევრ საბჭოთა გამოჩენილ მწერალთან.

იგი გლეხის ოჯახიდან იყო და მან ჩვენი აფხაზური ლიტერატურის ყამირზე პირველი ხნული გაატარა. მშობლიური ხალხის უშრეტმა სიყვარულმა, მოქალაქეობრივმა ვაჟკაცობამ და გამოკვეთილმა პოეტურმა ნიჭმა გადაალახვინა უამრავი დაბრკოლება, გადაატანინა მძიმე განსაცდელი, რათა თავისი ხალხის კულტურის ისტორიის ახალი პერიოდისათვის დაედო სათავე.

მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ თითქმის 30 წლის განმავლობაში მქონდა ურთიერთობა ამ შესანიშნავ ადამიანთან. ჩემს მეხსიერებაში ცოცხლობს უამრავი ჩვენი შეხვედრა.

დიმიტრი გულია პირველად ჩემს სოფელ ჭლოუში ვიხილე, სადაც იგი აფხაზური თქმულებების შესაკრებად ჩამოდიოდა. ერთხელ ჩემმა მეზობელმა იგი თავისთან მიიპატიჟა და მხცოვანი მწერალი გვიან საღამომდე ესაუბრებოდა გლეხებს.

მე განმაცვიფრა იმ ღრმა ინტერესმა და დიდმა სულიერმა გულისყურმა, რომლითაც იგი გლეხებს უსმენდა...

1932 წელი. სოხუმი. აფხაზეთის პედაგოგიურ ტექნიკუმში ვსწავლობ. კლუბში ჩემი ლექსების რვეული დიმიტრი გულიას თვითონ გადავეცი. მან წაიკითხა და შემეკითხა:

— კიდევ გაქვს ლექსები?

— მთელი რვეული! — ვუპასუხე.

ამ დროს გაისმა ზარი, რომელიც აფხაზური ენისა და ლიტერატურის პედაგოგს დიმიტრი გულიას კლასში მოუხმობდა.

— შენი ყველა ლექსი გადაწერე სუფთად, მინდა მოგესაუბრო პოეზიაზე, — მითხრა მან.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ დამიძახეს აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც ჩემი ლექსები დიმიტრი გულიას და სამსონ ჭანბას უნდა წაეკითხათ. ჭანბამ ჩამომართვა ჩემი ლექსები და შეუდგა კითხვას, შემდეგ აუჩქარებლად და ყურადღებით კითხულობდა გულია. ჩემს პირველ ლექსებში ადვილად შეინიშნებოდა ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენა, მაგრამ დიმიტრი გულია ამაში არავითარ საშიშროებას არ ხედავდა. პირიქით, მის აზრით ეს პოეტისათვის კარგ, დასაწყისად მიაჩნდა. იგი აღნიშნავდა, რომ თვითონაც პოეტური გზის დასაწყისში ბევრჯერ მიუმართავს ფოლკლორისათვის, ხალხური ტრადიციებისათვის.

— აზრის გამოთქმა ხალხისაგან რომ ისწავლო, ყოველთვის სასარგებლო და მნიშვნელოვანია, — მეუბნებოდა იგი, მაგრამ პოეტისათვის, რომელსაც ახალი სიტყვის თქმა უნდა, მარტო ეს არ კმარა. ამისათვის არსებობს მეორე წიგნი, ეს ცხოვრებაა, რომელიც პოეტისაგან თხოულობს ახალ აზრებს, განცდებს, სიტყვებს... ვინც ამას ვერ გაიგებს, ის ვერც შექმნის რაიმე მნიშვნელოვანსა და ღირებულს.

უკანასკნელად 1959 წლის ნაადრევ გაზაფხულზე მიმიპატიჟა ბინაზე. მე ვუკითხავდი ცალკეულ თავებს პოემიდან „სიმღერა კლდეზე“. მას პოემის დანარჩენი ნაწილის მოსმენაც სურდა, მაგრამ პოემა მთლიანად დავასრულე მისი გარდაცვალების შემდეგ.

ჩვენი დამრიგებელი და მასწავლებელი ყურადღებიანი და მზრუნველი გახლდათ. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა მომავალი მწერლების აღსაზრდელად, მათ დასავაჟკაცებლად.

აფხაზი ხალხის გამოჩენილი მწერლის მრავალფეროვან მოღვაწეობაზე მოკლედ ვერ ისაუბრებ. მაგრამ ერთი რამ უსათუოდ უნდა აღინიშნოს: დიმიტრი გულია ამაყობდა ჩვენი ლენინური კომუნისტური პარტიით, პარტიას მიუძღვნა მან არაერთი შთაგონებული ლექსი და დიდი სიყვარულით დაწერა ლექსების ციკლი, სადაც აღბეჭდა დიდი ლენინის უკვდავი სახე.

დიდია დიმიტრი გულიას დამსახურება მშობელი ხალხის წინაშე. პოეტი და მოქალაქე ჩვენი ხალხის არა მარტო წარსულსა და დღევანდელ თაობებს ეკუთვნის, დარწმუნებული ვარ, დიდი და ჭეშმარიტი საბჭოთა ხელოვანი კომუნისტურ მერმისს, მომავალსაც ეკუთვნის, რომელსაც შესწირა თავისი ჩირაღდანივით ნათელი ცხოვრება.

**დიმიტრი გულია**

# კავკასიონი

ჩვენო დიდებავ,
მხრებს გაყრია თოვლი მარადი,
შენი შვილები
შენითა ვართ ასე ამაყი.
თითქოს სხეული
შეგიმოსავს ფარ-მუზარადით
და უკვდავების
დაგფენია მხრებზე ვარაყი.
შენ აბრასკილი
გამოზარდე სულით ძლიერი
და ძმანნი მისნი
ვარსკვლავებზე უფრო მრავალი,
შვილთაშვილები
რომ გყოლოდა სვებედნიერი
და ქედუხრელი
ყოფილიყო შთამომავალი.
მტრის სისხლით
ბევრჯერ შეიღება შენი კალთები,
რამდენჯერ დუღდა
ხეობებში ბრძოლა მედგარი
და შეუდრეკლად
მტრებს ხვდებოდნენ გოლიათები,
გაუბზარავი
კვლავ რჩებოდა შენი ბექთარი.
და დღესაც, როცა
ფიცი დასდეს შენმა შვილებმა,
შენი პირქუში
ხეობები ისევ ჩარაზეს
შენმა შვილებმა —
მთებმა თოვლით შევერცხლილებმა,
რომ თავისუფლად
კვლავ ისუნთქონ ამ ქვეყანაზე.
კავკასიონის
ნაშიერნო, მამულს შეჰფიცეთ,
ვიწრო ხეობებს
კვლავ მოაწყდა ურდო ახალი.
გზები შეჰკარი
დათოვლილი მწვერვალებისკენ
და ვერაგს გულში
სასიკვდილო ჩაეც ლახვარი.

თარგმნა **რევაზ მარგიანმა**

---

ეს ლექსი დიმიტრი გულიამ დაწერა 1942 წელს, კავკასიის დაცვის მრისხანე დღეებში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ანზორის" დაბადება

აკაკი ვასაძე,
სსრკ სახალხო არტისტი

... **1928** წლის გაზაფხულზე სანდრო ახმეტელმა გადმომცა ვსევოლოდ ივანოვის მიერ ინსცენირებული მისივე რომანი „ჯავშანი № 14-69“ და მითხრა, გულდასმით წაიკითხეო. შინ აღარ წავსულვარ, იქვე, თეატრში ჩავიკეტე და სანამ ბოლომდე არ ჩავიკითხე პიესა, სანამ ცალ-ცალკე არ შევამოწმე ზოგიერთი ეპიზოდი, არ მოვცილებივარ.

მეორე დღეს ჩემი მოსაზრება საშას მოვახსენე:

— ამ სახით სპექტაკლს ვერ ავწევთ. თარგმანში ეპიზოდები დაკარგავს თავის კოლორიტს და ქართველი მაყურებლისთვის მთელი ამბავი მეტისმეტად შორეული და უინტერესო იქნება!

— მართალი ხარ! — სწრაფად მომიჭრა საშამ, — რომ გადმოვაკეთოთ? ციმბირის ნაცვლად ჩეჩენ-ინგუშეთში, დაღესტანში ან აზერბაიჯანში რომ გადმოვიტანოთ მოქმედება?! რას იტყვი? მთელი პიესა უფრო დავუახლოვოთ საქართველოს, ქართულ ფსიქიკას, ქართულ ხასიათს და ტემპერამენტს?

— დიდებული აზრია! ჩვენი სანდრო შანშიაშვილი პიესას ერთ კვირაში ისე გადმოაქართულებს, რომ ვსევოლოდ ივანოვმაც ვერ იცნოს თავისი „ციმბირული ჯავშანი“.

მართლაც, სანდრო შანშიაშვილმა ორიოდე კვირაში სამ მოქმედებას ბრწყინვალედ გაართვა თავი. დრამატურგიულად სამივე მოქმედება მძაფრი, დინამიური და მოქნილი გამოვიდა. შეიცვალა თითქმის ყველა პერსონაჟის სახელიც: მთავარ გმირს ანზორი დაერქვა, ვასკა ოკოროკს — ახმა, ანზორის მამას — მანსური, დას — ხალილი, ახმას დანიშნულს — ზაირა.

... მოქმედებაში ჩაერთვნენ პარტიზანები საქართველოდან, სომხეთიდან ,ოსეთიდან, აზერბაიჯანიდან, ლტოლვილები რუსეთიდან. ერთი სიტყვით, ზომიერების დაცვით, მრავალი ნაციის წარმომადგენელი გავაერთიანეთ ეპიზოდურსა თუ მთავარ როლში. მოქმედების ადგილმდებარეობა, პერსონაჟთა ფსიქიკა საქართველოს დაუახლოვდა.

წინადადება შევიტანე, ტექსტში ჩეჩნური, ოსური და დაღესტნური ფრაზები შეგვეტანა, რომ პარტიზანთა მეტყველება უფრო კოლორიტული, უფრო დინამიური გამხდარიყო. მთიელთა სიტყვები და ფრაზები უმთავრესად სცენიურ გადასვლის ადგილებში უნდა გამოგვეყენებინა, როგორც მუსიკალური ნიშნები. ძირითადად ისეთი სიტყვები უნდა გამოგვეყენებინა, რომლებიც არა აზრობრივს, არამედ — ემოციურ-განწყობით ფუნქციას ასრულებენ მეტყველებაში. მაგალითად, როგორიც ქართულ სიმღერაშია: ჰარი-არალე, ლალე, ოდელია, რანუნი, დელია, ვადილა, დილა-ვადილა, ჩარირამა, რერო და სხვა.

ახმეტელს და შანშიაშვილს ძალზე მოეწონათ ჩემი წინადადება.

მერე ახმეტელი სცენაზე მასისა და პიროვნების ახლებური ურთიერთობის გამოსახვის შესახებ გვესაუბრა:

— ახლა ვიწრო სუბიექტური, ინტიმური დრამა არ დგას დღის წესრიგში. ახლა საინტერესოა, რა ადგილი უჭირავს ადამიანს საზოგადოებაში. ამრიგად, არა გმირი-ინდივიდი, არამედ გმირი-მასა, გმირი — საზოგადოებრივად მოქმედი. არა ინტიმური მოტივები და სიყვარულობია, არამედ ისტორიულ მოვლენებში, ისტორიულ ძვრებში ჩაქსოვილი ხასიათები, წინა პლანზე კი ისტორიული მოვლენები. არა ცალკეულ პიროვნებათა ფსიქოლოგიაში კირკიტი, არამედ მასის მისწრაფების, მასის ფსიქოლოგიის გადმოცემა. სცენაზე თითოეული პერსონაჟი უნდა აისახოს არა ისე, როგორც ის ნატურალისტურად არის, არამედ ისე, როგორც წარმოგვესახება, როგორიც უნდა იყოს სინამდვილეში ახალ გმირს სცენაზე მოაქვს ქედუხრელობა, ხასიათის სიმტკიცე, ცხოვრების ღრმა შეცნობა, ხალხისთვის თავგანწირვა. აი, ეს არის თანამედროვე რომანტიკულ-გმირული პათოსი სცენაზე! — დაამთავრა სანდრო ახმეტელმა.

ყველანი გატაცებით ვუგდებდით ყურს პიესის, მისი გმირების, პერსონაჟებისა და მათი სცენური ცხოვრების სანდროსეულ გაგებას.

სანდრო შანშიაშვილი ყველა ჩვენ შენიშვნას იღებდა, თავის მხრივაც შემოჰქონდა წინადადებები:

სცენა სპექტაკლიდან.





მოსკოვი, 1930 წ. რუსთაველის თეატრის გასტროლები დედაქალაქში.

— ამ ჩვენს ვსევოლოდს, საშა, პიესაში იმდენი მეორეხარისხოვანი ეპიზოდი აქვს, რომ ყველა მათი გადმოკეთება და განსახიერება საჭიროდ არ მიმაჩნია. ჩემი აზრით, მთავარი სიუჟეტური ხაზიდან ასეთი გადახვევები მხოლოდ ადუნებს მოქმედების განვითარებას. რაც ბუნებრივია ივანოვისთვის და რუსი მაყურებლისთვის, ქართველი მაყურებლისთვის შეიძლება ყალბი აღმოჩნდეს. ეს ხომ კლასიკა არ არის და კლასიკამდე ბევრიც უკლია! — კახური უშუალობითა და პირდაპირობით განაცხადა სანდრო შანშიაშვილმა, — ასე მაგალითად, ბაქოს ეპიზოდი ზედმეტად მიმაჩნია. ანზორი ჯავშანოს რომ აიღებს, პიესაც იქ უნდა დასრულდეს...

თითქმის ყოველდღე ასე ვთათბირობდით და თუკი რაიმე ახალს მივაგნებდით, უმალ ვუზიარებდით ერთმანეთს.

სანდრო შანშიაშვილს პიესაზე მუშაობა ჯერ არც ჰქონდა დასრულებული, რომ ახმეტელი უკვე შეუდგა მხატვართან და ზოგიერთ მსახიობთან მუშაობას.

ირაკლი გამრეკელი ასოციაციების გამომწვევ დაზგას ეძებდა, რომელიც მკვეთრი შტრიხებით კარგ ატმოსფეროს შეუქმნიდა რეჟისორს. მას უნდოდა მასიური სცენები რელიეფურად განელაგებინა და რიტმულად აეწყო. გამრეკელს განზრახული ჰქონდა მოქმედების გამოტანა სცენის გარეთ, ორკესტრისთვის განკუთვნილ ადგილზე. იგი სცენის სარკისა და რამპის გადმოლახვას,

# დაე, მუდამ იყოს მზე!


ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს წიგნი არც მხატვრებს გაუფორმებიათ და არც ასოთამწყობებს აუწყვიათ. იგი ხელნაწერი წიგნია.

ქაღალდის დიდ, პრიალა ფურცლებზე ლამაზი ხელით არის ჩაწიკწიკებული ბავშვების დღიურები, მოგონებები, ნახატები. აქვე ნახავთ პიონერთა მიერ შეგროვებულ ჰერბარიუმებს, სხვადასხვა კოლექციებს, მოძმე რესპუბლიკებიდან გამოგზავნილ ბარათებს, საზღვარგარეთელი მეგობრების სამახსოვრო საჩუქრებს...

„დაე, მუდამ იყოს მზე!“ — ასე ეწოდება ამ ხელნაწერ წიგნს, რომელიც ქობულეთელ პიონერებს ეკუთვნით.

ათვალიერებთ „წიგნის“ ფურცლებს და თქვენს თვალწინ ცოცხლდება შავი ზღვის მზიური სანაპირო, სტრიქონებივით გაჭიმული ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები, ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლული ციტრუსების ბაღები.

აქვე ეცნობით ალისფერყელსახვევიან გოგო-ბიჭებს, რომლებიც, მართალია, ჯერ პატარები არიან, მაგრამ დიდი საქმეებისათვის ერჩით გული. მათ კარგი სწავლაც იციან, ხალისიანი გართობა-დასვენებაც და საკოლმეურნეო მინდვრებში თავდადებული შრომაც.

ალამბარი — ერთი პატარა სოფელია აჭარაში. პატარაა, მაგრამ ამ სოფელსაც ჰყავს საკოლმეურნეო შრომის ნორჩი ენთუზიასტები.

სოფლის პიონერებმა შარშან სამშობლოს 17 ტონამდე ჩაის საუკეთესო ხარისხის ნედლეული მისცეს. ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს მათ კიდევ უფრო მეტის გაკეთება აქვთ გათვალისწინებული. პიონერებს პირის გატეხვა არ სჩვევიათ, თქვეს და შეასრულებენ კიდეც!

თუ თქვენ დაინტერესდებით და პიონერ-მოსწავლეთა რვეულებს დაათვალიერებთ, გარეკანზე ოთხკუთხა არშიაში ჩასმულ ორ ასოს — „პ“-სა და „ქ“- დაინახავთ.

ეს ასოები ასე იკითხება: „პიონერული ქაღალდი“.

დიახ, რვეულების დასამზადებლად საჭირო მაკულატურა სწორედ პიონერებმა შეაგროვეს. მაკულატურა კი იმდენი იყო, რომ რვეულები ბავშვებს მთელი სასწავლო წელი ეყოთ.

მართლაც რომ კარგი წამოწყებაა!

დაზოგილი ქაღალდი ხომ დაზოგილი ტყეა! ტყე კი გაფრთხილებასა და მზრუნველობას საჭიროებს.

ნარგავების მეგობრები სოფელ აჭყვშიაც არიან. „მწვანე საგუშაგოს“ ნორჩმა წევრებმა აქაც ბევრი ხე დარგეს და გაახარეს. პიონერები განსაკუთრებული სიყვარულით უვლიან მეგობრობის ხეივანს, რომელიც ამ ორიოდე წლის წინ ერთად გააშენეს აჭყველმა და კონოტოპელმა ყმაწვილებმა.

უკრაინელ პიონერებთან მეგობრობა აჭყვის სკოლის მეექვსეკლასელებმა წამოიწყეს. ეს მეგობრობა თანდათან განმტკიცდა, გაიზარდა და მალე ორივე სკოლის პიონერ-მოსწავლეები გააერთიანა.

ერთ მშვენიერ დღეს კონოტოპელი პიონერები აჭყველ მოსწავლეებს ესტუმრნენ. ეს იყო დიდი სიხარული. პიონერულ კოცონს, ცეკვა-სიმღერას დასასრული არ უჩანდა.

ქართველმა მოსწავლეებმა უკრაინელი სტუმრები ბათუმში მიიწვიეს, დაათვალიერებინეს საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი ქუთაისი, გააცნეს ქართული ძველი ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები...

გამომშვიდობებისას „მეგობრობის კოცონი“ აგიზგიზდა.

— რას ისურვებდით ყველაზე მეტად? — ასეთი კითხვით მიმართა მოზეიმე ბავშვებს პიონერხელმძღვანელმა.

— მშვიდობას!..

— ჯანმრთელობას!.. ბედნიერებას!..

— მეგობრობას!..

— დაე, მუდამ იყოს მზე! — ყოველი მხრიდან გაისმოდა შეძახილები.

დაე, მართლაც, მუდამ იყოს მზე! დაე, ჩვენი ბავშვების ხალისიანმა ცხოვრებამ, მათმა მიღწევებმა სწავლაში, სამშობლოს საკეთილდღეოდ გაწეულმა შრომამ თავი მოიყაროს იმ დიდსა და ლამაზ ხელთნაწერ წიგნში, რომელსაც პიონერებმა შეარქვეს: „დაე, მუდამ იყოს მზე!“

გურამ ბახტაძე.

---

ხოლო ორკესტრისათვის განკუთვნილ ღრმულში კი ხეობის მსგავსი დეკორაციის დაყენებას აპირებდა. ასეთი დეკორაცია-დანადგარი პირველი პლანის მოვალეობასაც შეასრულებდა და, გარდა ამისა, ყოველი მოქმედების წინ ცალკეული ეპიზოდის გასათამაშებლად ბრწყინვალე ავანსცენა იქნებოდა.

მე კი დავუყევი თბილისის ძველ უბნებს, სადაც მკალავებს, მეთუნუქეებს, ოქრომჭედლებს პატარ-პატარა სახელოსნოები ჰქონდათ. შევუდექი ჩეჩნურისა და დაღესტნური ფოლკლორის შეგროვებას,—როგორც მუსიკალურის, ასევე სიტყვიერის. ამ ძიების დროს გავიგე, რომ მარტო დაღესტანში თურმე მრავალი ენაა, რომ ავარელს არ ესმის ყაზიყუმუხელის, ხოლო ტაბასარანელს არც ერთი მათგანის ენა არ ესმის... თითოეულ მათგანში თუ რომელიმე ჟღერადი, ეფექტური ფორმის სიტყვა შემხვდებოდა, უმალ ჩავიწერდი, ვიმახსოვრებდი ინტონაციურ მახვილს. ჩემთვის მთავარი იყო სიტყვის მუსიკალურ-ინტონაციური ეფექტი. ქართულ მეტყველებაში ჩართულ დაღესტნურ სიტყვებსა და ფრაზებს რეპეტიციებზე ვამოწმებდით.

მესამე აქტისთვის გამოვიყენეთ ხალხური სიმღერები: „ატირდა ლეკის სოფელი, ატირდა დედა-მშობელი“ და ახმას საცეკვაო სიმღერა „ჰაიდა, მშვენიერო ზაირა, მოდი ჩემთან უნდა გითხრა აი რა...“ ამ სიმღერების მოტივი კომპოზიტორმა ივანე გოკიელმა შესანიშნავად დაამუშავა და იგი მთელი სპექტაკლის მუსიკალურ ლეიტმოტივად იქცა.

მე და შანშიაშვილს მესამე მოქმედების ტექსტის დაზუსტება-გადაწერა ოვაჯერ მოგვიხდა, ხოლო მეოთხე მოქმედების დასაწყისი, თვრამეტჯერ მაინც გადავწერეთ. ყველაფერს ისე ვაკეთებდით, რომ სრულად განგვეხორციელებინა ახმეტელის ჩანაფიქრი.

ახმეტელის პირველი რეპეტიციები თითქოს სპორტულ წვრთნასა და ვარჯიშს უფრო ჰგავდა, ვიდრე პიესის ამა თუ იმ ეპიზოდის ფსიქოლოგიურ-მხატვრულ დამუშავებას. მას აინტერესებდა გარკვეულ შეგრძნებათა საფუძველზე მსახიობის ფსიქო-ფიზიკური რეფლექსის ფიქსირება-გამძაფრება, ანუ, რა დრო და რა სივრცე დასჭირდებოდა მსახიობს სცენაზე, რომ გარკვეული შეგრძნების სათანადო რეფლექსი ფიქსირებული მოძრაობით გამოეხატა, ე. ი. თითოეული ემოცია მოძრაობაში გამოევლინა. რა თქმა უნდა, ასეთი ეტიუდების ჩატარების აუცილებლობა „თითიდან არ გამოგვიწოვია“. ამ ექსპერიმენტის ჩატარების სურვილი ჯერ კიდევ მეირჰოლდის სასცენო მოძრაობის „ბიომექანიკის“ გაცნობის შემდეგ ალგვეძრა. მეირჰოლდის თეატრი სცენური მოქმედებით იპყრობდა მაყურებელს და ჩვენც შევეცადეთ ჩვენი წვლილი შეგვეტანა ამ ფორმის განვითარება-სრულყოფაში.

ამ პრინციპზე აგებული მასიური სცენები: პარტიზანების დაბრუნება აულში, თავკაცების თათბირი, ინგლისელთა შემოყვანა, ახმას თარჯიმნობის სცენა, ზეიმი და ცეკვა, სცენაზე ნაბდების სროლა და მთელი აულის საბრძოლველად დაძვრა არაჩვეულებრივ, პრინციპულად ახალ სასცენო მეტაფორად გადაიქცა. ამ სცენებში უსიტყვო მოქმედ პირს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მთავარს. პარტიზანების მასა მთავარი გმირის მოქმედების უბრალო ფონს, უბრალო გარემოცვას კი არ წარმოადგენდა, არამედ ეს იყო თავისთავადი მნიშვნელობის მქონე მოქმედი ფენომენი, რომელიც ინდივიდუალურად ცხოვრობდა, მოძრაობდა და იბრძოდა. მკვეთრად გამოხატული ეპიზოდი ეპიზოდს ცვლიდა მისთვის დამახასიათებელი, განსხვავებული, პლასტიკურად გამოძერწილი დეტალებით.

გულახდილად უნდა ვთქვა, ბევრ საინტერესო დეტალს ინსტინქტურად, უნებურად დავეუფლეთ. რეპეტიციების მსვლელობაში უნებურად აღმოცენდებოდა ხოლმე საინტერესო, ეფექტური გამოსახვის ფორმა.

ახმეტელმა სპექტაკლის ძირითადი მხატვრული პრინციპი, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, თავიდანვე განსაზღვრა: ცალკეული პერსონაჟის ფსიქოლოგიური ასახვა, ფსიქოლოგიური სიმართლის ცალკეული ძებნა, ვერ მოგვცემდა ისეთ შედეგს, როგორც გმირების ემოციურ-გრძნობითი ზუსტი და მკვეთრი გამოხატვა, როგორც პლასტიკური გამოხატვა მასის სულისკვეთებისა, მასის მოძრაობისა.

სპექტაკლში შტამპის ნასახს ვერსად ნახავდით, იმდენად უშუალო და ორიგინალური იყო იგი.

„ანზორი“ იმითაც არის ძვირფასი და მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ მან განსაზღვრა რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედებითი განვითარების ის გმირულ-რომანტიკული გზა, რომლითაც იგი შემდგომ ათეული წლების მანძილზე მიდიოდა და იმარჯვებდა.

ეს იყო რუსთაველის თეატრის ნამდვილი გამარჯვება.

ალექსანდრე ახმეტელმა „ანზორით“ ქართულ სცენაზე შეჰქმნა ფორმით ნაციონალური, ხოლო შინაარსით სოციალისტური სპექტაკლი, ამ მხრივ, „ანზორი“ ერთ-ერთი დიდი ქმნილებაა მის რეჟისორულ შემოქმედებაში, სადაც პირველ პლანზე იყო წამოწეული იდეური შემართება, დრამატული სიუჟეტის კომპაქტურობა, მაღალი რიტმი და პლასტიკური გამომსახველობა. ქართულ სცენაზე თანადროულობის პრობლემა სწორედ ამ სპექტაკლმა გადაწყვიტა, რადგან იგი გვიხატავდა კავკასიის ხალხთა ბრძოლას ლენინური იდეების განხორციელებისათვის.



თბილისის უნივერსიტეტის რექტორი პროფ. დავით ჩხიკვიშვილი.

ფოტო გივი შეყილაძისა



აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი თავის მოწაფეებთან



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ილია ვეკუა.



აკადემიკოსები არნოლდ ჩიქობავა, აკაკი შანიძე და შოთა ძიძიგური.

# ჩვენი უნივერსიტეტი



აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.



# ქუთაისური ბროლი

საქართველო მინისა და ბროლის წარმოების უძველესი ქვეყანაა. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ფერადი მინისა და ბროლის მაღალმხატვრული ნივთების დამზადებას საქართველოში ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულიდან მისდევდნენ.

ზუსტად ოცი წლის წინათ ქუთაისში, მინის ტარის ქარხანაში რამდენიმე ენთუზიასტმა ხელი მოჰკიდა ამ უძველესი ხელოვნების აღორძინების საქმეს. ქარხანაში გაიხსნა ბროლის დამუშავების საამქრო, დაიწყო ცდები.

პირველ ხანებში საამქრო მწვავედ განიცდიდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობას. აკლდათ მინამბერები, მისი მხარშავები, მხატვრული დამუშავების სპეციალისტები.

მონდომებამ და საქმის სიყვარულმა თავისი გაიტანა, საამქრო თანდათან მომძლავრდა, კეთილმოეწყო, დაოსტატდნენ ახალგაზრდა კადრები.



მინის ჩამბერავი იროდი სოფრომაძე

ფოტო თარხან არჩვაძისა



დამუშავების უბნის ოსტატი ელეონორა ლატარია და გრავიორი იროდიონ ერაძე.

ბროლის დამმუშავებელი ოთარ ჩადუნელი



ქუთათური ბროლი დღეს საქვეყნოდ არის ცნობილი. ბროლის საამქრო ახლა 50 დასახელების სხვადასხვა სახის ნაწარმს ამზადებს მათ შორის დიდი მოწონებით სარგებლობს საღვინე დოქები და სურები, ხილის გემოვნებით დამუშავებული ლარნაკები, ყელყელა ჭიქები, კონიაკის სასმისები... განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა საკავშირო გამოფენაზე ქუთათურ სპეციალისტთა მიერ დამზადებულმა ბროლის უზარმაზარმა დეკორაციულმა ვაზამ, რომელზეც ილიჩის უკვდავი სახეა ამოტვიფრული და გემოვნებით შესრულებული ორნამენტებით არის შემკობილი.

ქუთაისური ბროლის ნაწარმი ახლა საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქსა და უცხოეთის ქვეყნებში იგზავნება. ამ ნაწარმის ხარისხზე, მის მოხდენილ ფორმებსა და მაღალმხატვრულ გაფორმებაზე ნათლად მეტყველებს ის დიპლომები და ჯილდოები, რომლებიც ქართულმა ბროლმა დაიმსახურა.

ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი ქუთაისელმა მებროლეებმა კარგად დაიწყეს. წარმატებით გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულებები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი გაგზავნილმა საქართველოს კომუნისტთა წერილმა ბროლის დამუშავების საამქროს მთელი კოლექტივი ახალი შრომითი წარმატებებისათვის აღაფრთოვანა. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს, წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულონ და ათასობით მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი გამოუშვან.

ეთერ მაჰავარიანი



# მწერლის ღირსება

რა თქმა უნდა, როცა მწერლის ესთეტიკურ კონცეფციაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში მხატვრული ნაწარმოებები გვაქვს მხედველობაში. მაგრამ ავტორის შემოქმედებითი პოზიციის განსაზღვრისას ლიტერატურულ წერილებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს. მ. ჯავახიშვილი რომ დიდი რეალისტია და შეუპოვარი მოწინააღმდეგე უცხო ლიტერატურული მიმდინარეობების, ეს მისი სტატიებიდანაც ჩანს. მათში მთელი სიღრმითაა მხილებული ფორმალიზმის და ნატურალიზმის ანტიხალხური ხასიათი. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ნარკვევი „ხალხურობა და სისადავე“ (1936). აქ ვკითხულობთ: „ფორმალიზმი ღვიძლი შვილია იმ თეორიისა, რომელიც ამბობს: ხელოვნება ხელოვნებისათვისო, ის ამავე დროს მახლობელი ნათესავია და მემკვიდრე დეკადანსის და ფუტურიზმისა. იგი მჩატე, ცალიერი, ამორფულია. ეს მიმართულება მომაკვდავი კაპიტალიზმის ლეშზე აღმოცენდა და სწორედ მაშინ, როცა მას კაპიტალიზმის მთლიანი მსოფლმხედველობის ნაცვლად სასოწარკვეთილება, უიმედობა და ნიჰილიზმი შერჩა“.

მ. ჯავახიშვილი მკაცრად ეკამათება იმ მწერლებს, ვინც ბგერის კულტი შემოიღო და აზრი სიტყვას დაუმორჩილა, უარყო ხელოვნების საზოგადოებრივი ფუნქცია და ფორმა ფეტიშად აქცია. იგი არც სიუჟეტის თვითმიზნად გადაქცევის პრინციპს იზიარებს. „მხოლოდ ფორმა ან მარტო შინაარსი ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებს ვერ შექმნიან. ჭეშმარიტი ხელოვნება მოითხოვს ორივეს შეზავებას და შედუღებას. თუ პირველს მეორე აკლია, უსისხლო და უხერხემლო ხორცი გამოვა. თუ მეორეს პირველიც თან არ ახლავს, შეუმოსელი ჩონჩხი დარჩება“. ამ მოსაზრებას მ. ჯავახიშვილი სხვა წერილებშიც ავითარებს, ხოლო მისი მხატვრული შემოქმედება ფორმისა და შინაარსის ერთიანობის აუცილებლობის ნათელი გამოვლენაა.

მ. ჯავახიშვილი ულმობლად აკრიტიკებს აგრეთვე ნატურალიზმს. მისი აზრით „ფორმალიზმი და უხეში ნატურალიზმი ერთი მედალის ორი მხარეა“. მართალია, მათი დასაბამი სხვადასხვანაირია, მაგრამ საბოლოოდ ორივე მოვლენა „მაინც ერთად იყრის თავს და თითქმის თანაბრად მავნებელია“. ეს თვალსაზრისიც წერილებში სათანადოდ არის არგუმენტირებული.

მაინც ვინ არის ნატურალისტი? ის, ვინც „მშრალად აღნუსხავს ფაქტებს, ნაცვლად რეალობის გარდაქმნისა და მასალის სათანადოდ შერჩევისა, ის პროტოკოლს ადგენს და თავის ნაწერში ყველაფერს ყრის, რაც კი უნახავს და გაუგონია. ის მტერია გმირის, იდეალის. ის ცინიკოსია, გულგრილი, გულცივი და დინჯი, როგორც უსულო საგანი. ამავე დროს ის არც ხელოვანია, მას არც თვალი უჭრის, არც სიტყვა და არც გრძნობა“.

ნატურალისტი წვრილმანებში იქექება, ნამდვილი მწერალი კი ღრმად იჭრება საზოგადოებრივი მოვლენების არსში, აქტიურად მონაწილეობს ცხოვრების გაუმჯობესებისათვის გამართულ ბრძოლაში.

ნატურალისტი სინამდვილის პასიური მჭვრეტელია, შემთხვევითი დეტალით კმაყოფილდება, მას არ ახასიათებს ამბის მასშტაბური გააზრება. ნამდვილი მწერლისათვის კი მთავარია სოციალური სინამდვილის განზოგადებული ჩვენება, ტიპიური ხასიათები და ტიპიური გარემო. აღსანიშნავია, რომ „არც ერთ ფორმალისტს და უხეშ ნატურალისტს ტიპი არ შეუქმნია“. მ. ჯავახიშვილმა კი დადებითი და უარყოფითი ტიპების მდიდარი კოლექცია დაგვიტოვა.

„მწერლობაში უდიდესი ცვლილება მოხდა“, — წერს დიდი ბელეტრისტი და იქვე სვამს კითხვას: რა მისცა ოქტომბერმა ქართულ კულტურას?

უდიდესი სიკეთე.

„ოქტომბერმა გადააქცია ქართული ენა სახელმწიფო ენად. მანვე აღადგინა ან ხელახლა ჰშობა ჩვენი მეცნიერება, ხელოვნება და მანვე გაუცხოველა ქართულ მწერლობას განვითარების უნარი“.

მ. ჯავახიშვილი ადრე დისტანციის „თეორიის“ მომხრე იყო. შემდეგ იგი ღრმად დარწმუნდა, რომ თანამედროვე მწერალმა უნდა წეროს სწორედ თანამედროვე თვალსაზრისით აქტუალურ თემებზე.

სწორედ თანამედროვე თვალსაზრისით აქტუალურ თემაზეა დაწერილი „არსენა მარაბდელი“, რომელშიც მღელვარედ და საინტერესოდ არის ასახული ეპოქა, ისტორიული გმირები, ბრძოლები, დიპლომატია, ყოფითი ელემენტები. აღსანიშნავია, რომ ქართულ ლიტერატურაში პირველად ამ ნაწარმოებში გამოჩნდა მშრომელი მოსახლეობის ფართო ფენები, რომლებსაც საერთო მიზანი ამოძრავებდათ და აერთებდათ. ისინი ერთსულოვნად მოქმედებდნენ უსამართლობის წინააღმდეგ და ერთგვარ წარმატებასაც კი აღწევდნენ სოციალურ ბოროტებასთან ჭიდილში. მწერალი აღფრთოვანებულია მათი ვაჟკაცობით, პატიოსნებით, თავდადებით, რწმენის ერთგულებით და მკვეთრად გამოხატავს თავის ღრმა სიმპათიას უბრალო ხალხის მიმართ. მიხეილ ჯავახიშვილმა თავიდანვე სწორად გაიგო საბჭოთა ისტორიული რომანის თავისებურება და განსაზღვრა მისი ადგილი ქართულ ლიტერატურაში.

„არსენა მარაბდელი“ ნიმუშია იმისი, თუ როგორ უნდა იწერებოდეს სოციალურ-ისტორიული რომანი.

მწერლობა მიხეილ ჯავახიშვილმა 1903 წელს დაიწყო, 1908 წელს შეწყვიტა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაუბრუნდა მას. 12 წელიწადში ოცჯერ მეტი შექმნა, ვიდრე 5 წელიწადში.

მაგრამ მთავარი რაოდენობა როდია. ნაწარმოებები, რომლებიც მან ჩვენ დროში შექმნა, უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ: მ. ჯავახიშვილმა გაალრმავა ქართული რომანის ტრადიცია და მაღლა ასწია მისი დონე. მიხეილ ჯავახიშვილი ამბის თხრობის, სიუჟეტის განვითარების, მოქმედების გაშლის დიდი ოსტატი იყო. ეს „ჯაყოს ხიზნებიდანაც“ ჩანს. აქ მწერალმა ამხილა ინერტულობის საშინელი სენით შეპყრობილი ადამიანები და გვიჩვენა, თუ რაოდენ დამღუპველია უმოქმედობა და გულგატეხილობა.

მწერალი — თავის პუბლიცისტურ წერილებშიც გმობს ცხოვრებისაგან განდგომის ფილოსოფიას. სტატიაში „ჩავდგეთ სოციალიზმის მშენებელთა რიგებში“ ამბობს: „ჩვენი ამოცანაა ახალი სტილი შევქმნათ და მწერლობაში ახალი ქვეყანა და ახალი ადამიანი გამოვაჩინოთ“.

ვინ უნდა იყოს ახალი ლიტერატურის მთავარი გმირი? შრომა და მშრომელი კაცი. „ახლა გმირს თვითონ დღევანდელობა გვთავაზობს. იგი ათასობით მოიპოვება კოლმეურნეობაში, ქარხანაში, მაღაროში, ყინულეთში, ჰაერში, წყალზედაც და წყალქვეშაც“. მათი სახეები, ამბობს მ. ჯავახიშვილი, მთელი სისრულით უნდა დავხატოთ, ცოცხლად გამოვაჩინოთ მათი ურთულესი გრძნობა, აზროვნება, ყოფა-ცხოვრება. ამ მიზნის მისაღწევად, მწერლის აზრით, საჭიროა რეალიზმის ბუმბერაზ მდინარეს რევოლუციონური რომანტიზმის ერთგვარი ნაკადი შევუერთოდ, რადგან რომანტიკა ამაღლებს გმირს, ოპტიმიზმით მსჭვალავს მას, აფართოებს ნაწარმოების ემოციურ ჩარჩოს.

მ. ჯავახიშვილს სიმართლე ხელოვნების ღერძად მიაჩნდა. სიმართლე, ე. ი. რეალიზმი, ამბობდა იგი, „დედაბოძია მხატვრული ლიტერატურის. იგი მიწაზე დგას და მიწიდანვე ამოდის. ორივენი ერთმანეთს ჰკვებავენ, ზრდიან და ამაგრებენ“. აქედან გამოდის ნათელი და ძირითადი დებულება: „ხელოვნება მიწისათვს, ჩვენთვის, ხალხისათვის“.

მ. ჯავახიშვილმა რამდენიმე წერილი უძღვნა ენისა და ეროვნული ლიტერატურის საკითხებს.

რა თქმა უნდა, სწორია მწერალი, როცა ამბობს, ნაციონალური ლიტერატურა არ ამოიწურება მარტო ნაციონალური ენით. ენის გარდა იგი შეიცავს აგრეთვე კულტურულ მემკვიდრეობას, ისტორიულ და საყოფაცხოვრებო პირობებს, ეროვნულ კოლორიტს და მასალას, რომლითაც განსხვავდება ერთი ერის ლიტერატურა მეორე ერის ლიტერატურისაგან. ასე რომ ფორმულა სოციალისტური შინაარსით და ფორმით ეროვნული გაცილებით უფრო ფართოა და ენა მხოლოდ ნაწილია ფორმისა.

ხალხურობა გასაღებია ხალხის გულისა. ეს გასაღები ყველა დიდ მწერალს აქვს. მათ შორის მ. ჯავახიშვილსაც. ამას მოწმობს მისი ლიტერატურული წერილები, რომელშიც მწერლობა გამოცხადებულია პოლიტიკურ ფენომენად, ხოლო ლიტერატურის აპოლიტიკურობა რეაქციულ შეხედულებად.

ვლადიმერ ჯიბუტი

ბენიკ სეირანიანი

## ნოყიერი მიწა



მზიანეთში ხეები მეჩხერია, მეჩხერი და ჭუჭამუხნარი მიწაზე გართხმულა. ახწლოვანი წიფელები გვერდზე გადაწვენილან.

ცაში აჰრის, ღრუბლებში ნავარდის არავითარი ხწრაფვა, არავითარი ლტოლვა შუბლზე ერთ ძარღვსაც არ შეურხევთ. ისინი კრუხებს, ნამდვილ კრუხებს მოგვაგონებენ, ფრთებს რომ გაშლიან და ლილისფერ ჩრდილს ჰფენენ შემოგარენს, მრავალ ლურჯ ჩრდილს იხვრიან და ამ ჩრდილში იზრდება ჰინჭარი სუფთა და ხახხახა. ამ მწვანე და ნატიფ ბუჩქებს შორის იფურჩქნება ველური მიხაკიც, მარჯნისფერი, ძოწივით წითელი ფურცლები რომ აქვს დაკბილული.

გაგორდები ბალახში და გრძნობ, ნიავი ბუჩქებს თავს ევლება, ელამუნება, არე-მარეს ახალგამოჩეკილი წიწილების წივწივით აყრუებს, მიხაკის საამო სურნელს აკმევს.

მოწოვე და თვალს მოატყუე, დაღლილი თუ ხარ და უძილო, მეტადრე თუ მკერდში ვნებათა ღელვა დამცხრალია.

და თუ ანცი გული ტოკავს, სიგულიდან ამოვარდნას ლამობს, მაშინ ხევხუვებს, ბალახსა და ბუჩქს, მაერსა და ხივრცეს სურნელი იპყრობს, შენც ძილი გიკრთება, ვერ იხვენებ, კოტრიალებ მწვანეზე, ეცვრი მიწას, გაბრუებული ხარ, თითქოს ხატრფოს გულის ცემას ყურს უგდებო, ძარღვებში გივლის საამო სითბო და მიწაც, უხულგულო მიწაც შენი სულის რაღაც ნაწილი გგონია.

ჩვენც ფესვებით ამ მიწაში ვვიდგას, მწვანედ მოხახხახე ლორთქო ბალახივით, სისხლისფერ მიხაკივით, მათ შორის რომ იშლება, ჩვენც ამ მიწის სითბოს ვიწოვთ, მიწისა, ჩვენი გულები რომ გადაუჭაჭვავს და ათასი უხილავი ძაფითა და ძარღვით დაგვკავშირებია.

## უკანასკნელი ცეკვა



გვიანი შემოდგომაა, ფოთოლთცვენა. აი, უკანასკნელი ფოთოლიც დაეცა მიწაზე. ტრიალ მინდორზე მარტოდმარტო დგას შიშველი ხე. თითქოს თავისი საუნჯე და განძი შემოდგომის ფეხთით გაუბნევია და თვითონ დარჩენილა დედიშობილა, ვით ახალი საუკუნის ტიმონ ათენელი.

შუქი იფრქვევა მის ირგვლივ, მისგან დაღვრილი, მის გარეშემო მიმობნეული ყოველი შტოსა და ფოთოლის შუქი.

და მხილველს ჰგონია, მიწას შუქურა მიუნათებია ქვემოდან და მის სხივებში საოცნებოდ ცეკვავს ხე.

ხევდა რამ იგრძნობა ამ ცეკვაში — ხევდა გადაპაფრენად გამზადებული წეროების გუნდისა, სიცივისაგან თავდახრილი, აცახცახებული ბალახისა, ათრთოლებული ყვავილისა, ჭმუნვა შემოდგომის წვიმისა, წვრილად რომ ცრის, ქვეყანას თავისი სინოტივით ავსებს, მტვერივით იფრქვევა ციდან და შენი სულის ყოველ კუნჭულს ედება.

თუმცა ამ ყოვლისმომცველ ხევდა-მჭმუნვარების დროსაც ცეკვავს ხე, ცეკვავს თვისხავე ყვითელ რიდეში გახვეული, თვისხავე ყვითელ ათინათში ჩაკარგული, თვალი შორეთს გაუტაცია. გაშიშვლებული ხე განმარტოებული დგას და ცეკვავს, ცეკვავს შემოდგომის, მჭვუნვარების ცეკვას, ვინ იცის უკანასკნელადაც.

ამბობენ, მწუხარეა ბოლო ყოვლისა. უკანასკნელი გამოთხოვება, უკანასკნელი ამბორი, მზის ჩასვენება, სიკვდილი...

ცეკვა ხომ სიხარულის ნიშანია. მაშ, რაღას ცეკვავს ჩვენი ხე?

ვინ იცის, იქნებ იმიტომ, რომ თვისი განძი და საუნჯე გასცა, უკანასკნელი ფოთოლი მიწას მიაბარა და ახლა ალარაფერი დარჩენია, რომ დაენანოს, გული ეტკინოს...

მართლაც, ზედგამოჭრილი ტიმონია, ჩვენი დროის ტიმონ ათენელი. ვარსკვლავებს რომ ეცემა, ნუთუ თქვენით არ არიან ქცეული მნათი ვარსკვლავები ვარსკვლავებად და თქვენით არაა თვით სიცოცხლე?

სინათლენო, სინათლენო, ნეტამც თქვენ, სინათლენო!

## ნატვრა



გორაკს როგორ უწოდებდი! ერთი უბრალო ბექობი საველე სადგურის ახლოს გადაჭიმულ ტრიალ მინდორზე რაღაც სასწაულით ამოზიდულიყო, მიწასთან ერთად რუხი ქვები ამოეტყორცნა.

მაგრამ ეს ერთი ციცქნა ბექობიც სულ სხვა სამყარო იყო მისთვის.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ბიჭები კლუბისაკენ, სპორტული მოედნისკენ გასწევდნენ. ხოლო ის ბექობს მიაშურებდა.

ავიდოდა, ჩამოჯდებოდა ქვაზე. მზერას შორეთს მიაპყრობდა. ვერ გაიგებდი, ცის წარმტაცი ფერებით ტკბებოდა თუ ოცნება იტაცებდა.

სტუდენტებთან ერთად ყამირზე ჩამოვიდა. მთელი დღე კომბაინით მოსავალს იღებდა, საღამოს ბექობისკენ გაეშურებოდა.

ხვატით გამთრალ თვალუწვდენელ ტრამალზე ნიავიც არ ქროდა.

მაგრამ მაინც აქ ერჩივნა. სილაღეს გრძნობდა, თითქოს მშობლიურ მთებში ყოფილიყო.

მთიელი იყო და გული მთისკენ მიუწევდა.

სომხურიდან თარგმნა მ. თაქორიანმა.

ლექსები

ვასო ლორთქიფანიძე

### დიდი სიმღერა

მამულო, დადგი
ჩემთვის ემბაზი,
გამბანე შენი
წვითა და ღელვით.
მაშინ აქვს მხოლოდ
სიცოცხლეს ფასი,
თუ შენი ქვეყნის
სატკივარს მღერი.

დროვ, გევედრები,
გამტყორცნე ცამდე,
დამაკავშირე უქრობ
მზის სიცილს.
ბედთან ჭიდილში,
მოდი, დამცადე
ჩამკირე შენთან
ხევსურის ფიცით.

დროვ, მომეც შენი
დღეების ფერი,
თვით შენი სრბოლა
გულად ჩამიდგი,
რომ ასე ლაღად,
ძარღვების ფეთქვით,
ვიმღერო ქვეყნის
სიმღერა დიდი.

●

ფიქრმა მომტაცა გული,
თითქო ვქებსო ცალს.
მატარა, მახეტიალა,
თვალწინ გადმეხსნა ცა.

შევივრძენ, ვნახე, ვიხილე
ფერთა, სახეთა ცვლა.
წვდომის, მიგნების ლვთაებავ,
ჩემდა იმედად გცან.

### მე და გაზაფხული

მე და გაზაფხული
ერთმანეთს ვეძმეთ,
ლხინიც და ჭირიც
ერთად გვაქვს ნახული.

მიმავლის გზებზე
სიყვარულს ვეძებთ,
ძმები კართ, ძმები
მე და გაზაფხული.

ქვეყნის განახლებას
ყიჟინით ვუხმობ
და სხვა სამყოფელს
არ კლდუღ არსად.

მე უნდა გამუდმებით
ვიმღერო, ვიქუხო
მხოლოდ გაზაფხულის
მსგავსად.

გულზე დავიბნიე
უჭკნობი ყვავილი,
ვარ ამ აზვირთებულ
დღეთა მსახური,

მხრებგაშლილით, ამაყად
მუდამ ახე ვივლით
მე და გაზაფხული,
მე და გაზაფხული...

### არაკივით

გათენდება, დაღამდება,
მიკაბიჯებ ნელა-ნელა,
უხმოდ მარწევს, არ ჩერდება
დღის და ღამის საქანელა.

ხული მზეს და მთვარეს ერთვის,
ჯიღად მაღგას ზეცა ბროლის
და მწვავს ცინი ერთადერთი
საოცნებო გზების მოვლის.

რაც დრო გადის, დრო წინ მარბოლი
არ მწყინდება, თან მივყვები.
შენ გგონია, ახალს ვამბობ,
სიყმაწვილის ამბავს ვყვები.

ნოდარ ნარსია

### კონსტანტინე გამსახურდიასადმი

მამისეული ოჯახი იმყოფებოდა მსოფლიოში უუმცირესი მდინარის, ზანას ნაპირზე... ეს მდინარე იყო ჩემთვის სიყრმის განცხრომის სავანე...

კ. გამსახურდია

სალამს მაბარებს ის ციცქნა ზანა,
შენი მდინარე, დიდო ბატონო...
და, ის ალვებიც, იქვე რომ დგანან
და ის ჭადრებიც,
დიდო ბატონო.
ისევ იქვე დგას ძველი წისქვილი;
იმ ყრმობას,
იმ ცას რომ დავატოლო...
ჩამობურვია მხრებზე ნისლივით
წლები და...
მაინც გიცდის, ბატონო.
ყორივარდები, მერე რამდენი,
გელიან, ნატვრას აგისრულებენ...
გელოდებიან მაყვლის ბარდებიც,
გარდასულ ჟამით დანისლულები.
მაფშალიების სტვენა გრძელდება,
შენს ნააკვნარზე...
სტვენა ციხკრული,
მათი ნახვა ნუ დაგიძველდება,
სალამი ჰკადრე დარბაისლური.
სად გაგონილა გრძნობის დაშრობა,
ისევ ჩამესმის მიწის ყივილი...
ზანასთან დადის შენი ბავშვობა,
იმჟამინდელი ფიქრით, ტკივილით,
ვიცი, დაგატკბობს სტვენა შაშვების,
ციცქნა მდინარის ჩუმი ხმაური...
ცოტახნით მაინც თუკი დარჩები,
ერთბაშად მოვა ზღვა სიხარული.
თეთრი იაბო გამოაგელვე,
შორეთს გახედე ხელის მოჩრდილვით,
ბრძანება დასცდეს ოღონდ ბაგეებს,
ვიქნებით ყველა შენი მორჩილი.
ბატონო, ველი უმუზარადოდ,
ცერზე შეიხვი ჭრელი მიმინო...
იქნებ სიმღერა შემოგვთავაზო,
„კუჩხა ბედნიერ" ჩავიღიღინოთ.
იქნებ და მაგრამ...
მგონი დაღლილხარ,
სიტყვას ებრძოდი ალბათ, წუხელის...
იქნებ ეს ლექსი იმად არ ღირდა,
რომ დაგიბრუნე ყრმობის წუხილი.
მაგრამ სიყვარულს მკარნახობს ზანა,
შენი მდინარე, დიდო ბატონო...
და ის ალვებიც, იქვე რომ დგანან
და ის ჭადრებიც, დიდო ბატონო.

### გული

აი, აქ,
მკერდზე მომაყრდენ თავი,
დაღლილი გულის შეიგრძენ თრთოლვა...
აქედან მოდის სინათლე მთვარის,
აქვე იწყება
წვიმაც და თოვაც.
აი, აქ,
გულზე გადიარს ჟამი
და გულთან,
გულთან მოდიხარ როცა —
შიგ არ ჩატოვო ცოდვა ან შხამი,
რადგანაც გულით გეტრფი და გლოცავ.
თუ რამე მწვავდა,
თუ რამე მღრღნიდა,
აი, აქ დამრჩა — თუ რამეს ვწუხდი,
ფეთქავს და ფეთქავს გაჩენის დღიდან,
რომ მოესვენოს — არ არის წუთი.
კაცი კვდება თუ ფეთქდება ბომბი,
აქ მრჩება გულში
და გული მწყდება...
და როცა დღენი მიდის და მოდის,
უპირველესად ამ გულს აწყდება.
ზოგჯერ მე თვითონ,
მე ვატან ძალას,
რომ გულმა იგრძნოს სიმწვავე დღეთა,
გულს ხომ გულობას ვერ აუკრძალავ
და მე და გული ყველაფერს ვხედავთ.
... აი, აქ,
გულზე მომავლე მზერა,
მზერა ნათელი და არა ურჩი...
თორემ შორიდან მოფრინავს ძერა
და გულს,
საცოდავს,
ისედაც უჭირს.

## საინტერესო ამბების სკივრიდან



### მაიმუნების „დიალოგი"

ამერიკულმა ჟურნალმა „ნიუსუიკმა" გამოაქვეყნა ცნობა, რომ ნევადის უნივერსიტეტის ორმა მეცნიერ-ფსიქოლოგმა გადაწყვიტეს გამოერკვიათ შიმპანზის „ინტელექტი" და მაიმუნებს ჟესტების ენა შეასწავლეს.

შიმპანზეებმა ორ წელიწადში 140 „სიტყვა" აითვისეს. მათ ახლა თავისუფლად შეუძლიათ ჟესტების ენით ესაუბრონ არა მარტო ერთმანეთს, არამედ ადამიანებსაც.

აი, რამდენიმე ნიშანი მაიმუნების ლექსიკონიდან: ხელისგულის მიტანა ცხვირთან ნიშნავს — „მომეცით ყვავილი", მიტყუპებული ხელისგულები — „მომეცით წიგნი". მაიმუნები ხალისით უსრულებენ ერთმანეთს ჟესტებით გამოხატულ თხოვნას.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მაიმუნები ცდილობენ თვითონვე გაიმდიდრონ ლექსიკონი, მაგალითად, ერთ-ერთმა შიმპანზემ — ლუსიმ თითი მოხარა და კისერთან დაიდო. ამ ჟესტს იგი დაბეჯითებით იმეორებდა. მეცნიერები გაკვირვებულები იყვნენ — ასეთი ჟესტი მათ არასოდეს არ უსწავლებიათ ლუსისათვის. მალე ყველაფერი ნათელი გახდა. მეცნიერებმა ახლა უკვე იციან, რომ მაიმუნის მიერ გაკეთებული ასეთი ჟესტი ნიშნავს — „გვეთაყვათ, გამიყვანეთ სასეირნოდ!"



### ხიდი ევროპასა და აზიას შორის

მიმდინარე წლის დამდეგს სტამბოლში, ბოსფორის სრუტეზე, რომლის სიგანე 550-დან 3 000 მეტრამდეა, ხოლო სიღრმე — 30-120 მეტრი, აშენდა უნიკალური ხიდი, რომელიც ქვეყნის აზიურ და ევროპულ ნაწილებს საავტომობილო გზით აკავშირებს ერთმანეთთან.

ეს ხიდი მსოფლიოში გიგანტური დაკიდებული ტიპის ხიდებს შორის თავისი გამტარუნარიანობით მეოთხე ადგილზეა, სიგრძით კი (1 074 მეტრი) ჩამორჩება მხოლოდ სან-ფრანცისკოს ხიდს — „ოქროს ჭიშკარს".

ხიდის სიგანე საშუალებას იძლევა ავტომობილებმა იარონ ექვს რიგად, პირველსავე წელს ხიდი გაატარებს 20.000-ზე მეტ ავტომობილს, ამიტომ სრუტეში ამჟამად არსებული ჩვიდმეტი ბორანი მალე საჭირო აღარ იქნება.

ხიდის გახსნა მიეძღვნა თურქეთის რესპუბლიკის შექმნის 50 წლისთავს. პროექტის შედგენაში მონაწილეობდნენ დასავლეთ გერმანიისა და ინგლისის ფირმები.



### გიგანტური სარკე

კოსმოსის ფრანგმა მკვლევარებმა ამას წინათ მეტად ორიგინალური წინადადება წამოაყენეს.

მკვლევარები გვთავაზობენ დამზადდეს უზარმაზარი სარკის სისტემა, რომლის დიამეტრი დაახლოებით 6 კილომეტრი იქნება.

სარკის დასამზადებლად შეიძლება გამოვიყენოთ პლასტმასა, რომელიც ალუმინის ფენით დაიფარება.

დედამიწის ორბიტაზე გატანილი სარკე „ჩამოკიდებული" იქნება ერთ გარკვეულ წერტილში და ჩვენს პლანეტაზე მთვარის მსგავსად გამოგზავნის მზისგან არეკლილ სინათლეს.

როგორც სწავლულებმა გამოთვალეს, ასეთი გიგანტური სარკე თურმე ერთ-ნახევარჯერ უფრო მეტ სინათლეს გამოჰყოფს, ვიდრე სავსე მთვარე. ეს სინათლე თანაბრად მოეფინება დედამიწის მონაკვეთს, რომლის რადიუსი სულ ცოტა 150 კილომეტრი მაინც იქნება.

თავიანთი პროექტის დასაცავად მეცნიერები მთელ რიგ დებულებებს აყენებენ. მათი მტკიცებით, გიგანტური სარკე საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ დიდი თანხები და შრომა, რაც ქუჩების განათებას სჭირდება. გარდა ამისა, ღამის საათებში მივარდნილ ადგილებში მნიშვნელოვნად შემცირდება ავტოავარიები. სარკის სინათლე შეიძლება გამოვიყენოთ ღამის სხვადასხვა სამუშაოების ჩასატარებლად, მოსავლის აღებად და ა. შ.

საინტერესო ამბების სკივრიდან

# სხვათა შორის



## ყასაბს ნუ უწოდებ... ყასაბს!

გაზეთ „ჰეტ ფრიე ფოლკის" კორესპონდენტთან საუბარში განთქმულმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა იოჰან კრუიფმა განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს ინგლისელი არბიტრი ტეილორი ძალზე არაზუსტად სჯიდა.

„მეორე ტაიმში გერმანელების საჯარიმო მოედანს არ მოვცილებივართ. საკმარისი იყო რომელიმე გერმანელ ფეხბურთელს უხეშად ეთამაშა, რომ მსაჯი აჯარიმებდა... ჰოლანდიელებს".

კორესპონდენტმა ჰკითხა კრუიფს, რატომ აჩვენა მას მსაჯმა შესვენებისას ყვითელი ბარათი. კრუიფმა უპასუხა: „წარმოდგენა არა მაქვს. მანამდე ჩვენ საკმაოდ მშვიდობიანად ვსაუბრობდით. შეიძლება ტეილორს არ მოეწონა ჩემი ინგლისური".

აი, როგორ ახსნა ეს ეპიზოდი ინგლისელმა მსაჯმა ტეილორმა:

„კრუიფმა შემომჩივლა, რომ მისი მეურვე გერმანელი მცველი ფოგტსი უხეშად თამაშობდა. მან ამის დასამტკიცებლად მაჩვენა თავისი ფეხები, რომელიც მართლაც სულ ერთიანად დალურჯებული ჰქონდა. მე ვუპასუხე, რომ ფხიზლად ვადევნებ თვალყურს ფოგტსს და, როგორც კი არღვევს წესებს, მყისვე ვაჯარიმებ. რაც შეეხება დალურჯებულ ფეხებს, იგი ფეხბურთში ჩვეულებრივი ამბავია.

კრუიფი გაბრაზდა და ყასაბი მიწოდა. მართალია, მე პროფესიით ყასაბი ვარ, მაგრამ მაინც ყვითელი ბარათი დავანახე, რათა ენას კბილი დააჭიროს".



## „სრულიად საიდუმლოდ"

ორშაბათობით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჰენრი კისინჯერთან შედის მოხელე, რომელიც მას უტოვებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მიღებულ დეპეშების შეკვრას. შეკვრას აწერია: „სრულიად საიდუმლოდ".

რა საიდუმლო დოკუმენტებს იღებს სახელმწიფო მდივანი? დიდს არაფერს. იგი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და გაფაციცებით ადევნებს თვალს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატს ფეხბურთში. ამ ქვეყნიდან მას პირველი, მეორე და მესამე ლიგების თითოეული მატჩის შედეგს ატყობინებენ.

კისინჯერს განსაკუთრებით აინტერესებს მესამე ლიგა. სწორედ აქ გამოდის მისი საყვარელი კლუბი „ფურტი".



## „პირქუში" პროგნოზი

მსოფლიოს 11 ჩემპიონიდან ჭადრაკში 4 პირველი (სტეინიცი, ლასკერი, კაპაბლანკა, ალიოხინი) კარგა ხანია გარდაიცვალა, 7 დანარჩენი კი თავს ჩინებულად გრძნობს.

ამას წინათ იუგოსლავიელი დიდოსტატი ალექსანდარ მატანოვიჩი შეეკითხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მაქს ეივეს:

„ხომ შესაძლებელია მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონისა და ექს-ჩემპიონების: ეივეს, ბოტვინიკის, სმისლოვის, ტალის, პეტროსიანის, სპასკისა და ფიშერის ტურნირი მოეწყოს. როგორ ფიქრობთ, რა შედეგით დამთავრდება იგი?"

„მე მხოლოდ ერთ რამეს ვიტყოდი დანამდვილებით, — უპასუხა 73 წლის ეივემ,— ასეთ ტურნირში ეივე აუცილებლად დაიკავებდა... ბოლო ადგილს!"



## რა მღვდელი დაიკარგა!

განთქმულ ჰოლანდიელ ფეხბურთელ იოჰან კრუიფის მშობლები აპირებდნენ თავიანთი შვილი მღვდელი გამოეყვანათ, მაგრამ მისი ბედი, როგორც ვხედავთ, სულ სხვანაირად წარიმართა.

მსოფლიოს ჩემპიონატიდან სამშობლოში დაბრუნებისას კრუიფს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. მეზობლებისა და მეგობრების მილოცვებს ბოლო აღარ უჩანდა. ყოველივე ამის მიუხედავად „მფრინავი ჰოლანდიელის" მოხუცი დედა ყოველ მილოცვას თავისებურად უპასუხებდა „და მაინც ძალიან ვწუხვარ, რომ იგი მღვდელი არ გამოვიდა!"



## ბავშვობის ოცნება შეისრულა

105 წუთი და 7 წამი დასჭირდა იაპონიის ქალაქ კობეს მცხოვრებ კაცუდუსი სინაძახის, რათა 20 კილომეტრი გაერბინა. ეს, რა თქმა უნდა, მსოფლიო რეკორდი როდია, მაგრამ ვინ მოელოდა მას 75 წლის კაცისაგან.

იაპონური გაზეთები აღნიშნავენ, რომ სწორედ ხანდაზმულ ასაკში მიაღწია სინაძახიმ დიდ წარმატებებს. სწორედ ახლა შეძლო მან თავისი ბავშვობის ოცნების ასრულება და შევიდა... კოლეჯში. 20-კილომეტრიან გზას სახლიდან კოლეჯამდე მოხუცი სირბილით გადის.

ზოგჯერ მას ამ დისტანციაზე სირბილში ეჯიბრებიან მემკვიდრეები: 4 ვაჟი, 16 შვილიშვილი და 15 შვილიშვილისშვილი, სრულიად ამაოდ — მოხუცი მაინც სხვებზე უკეთესად დარბის.



## უსარგებლო თადარიგი

როდესაც ურუგვაის გუნდი გფრ-ში მსოფლიო ჩემპიონატში სათამაშოდ ჩამოვიდა, მან თან საჭმელიც ჩამოიტანა. ვინ იცის, იქნებ ფეხბურთელებს ევროპული კერძები არც კი მოსწონებოდათ! ურუგვაელები ხომ ხანგრძლივი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ.

თადარიგი უსარგებლო გამოდგა. ურუგვაელებს 3 მატჩის შემდეგ მოუხდათ სამშობლოში დაბრუნება. მათ შეუჭმელი დარჩათ 335 კილოგრამი ხორცი!

# სხვათა შორის

# „ივერიის" ფურცლებიდან

ბიბლიოთეკა

გერმანიაში ერთი ღარიბი არტისტი ბევრსა ცდილობდა გამდიდრებულიყო, ან ცოტაოდენი ფული მაინც შეეგროვებინა, რომ სიბერის დროს ლუკმა პური ჰქონოდა, მაგრამ ყოველგვარმა ცდამ ამაოდ ჩაუარა. ბოლოს ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. ავადმყოფობის დროს სწორედ რომ ჩინებულმა აზრმა გაუელვა. მოიწვია ნოტარიუსი და ანდერძი დააწერინა. ამ ანდერძში მოხსენებული იყო, ამდენი და ამდენი ფული მიანდერძებია ამა და ამ ჩემი ნათესავებისა და მეგობრებისათვისო. ნოტარიუსმა ეს ანდერძი გამოამჟღავნა და არტისტის ნათესავებსა და ნაცნობებს კიდეც გაუხარდათ. ცდილობდნენ თანაგრძნობა გამოეცხადებინათ არტისტისათვის და თან წუხდნენ, აქამდე რატომ ყურადღებას არ ვაქცევდით ჩვენს კეთილ არტისტსაო. არტისტი განიკურნა ავადმყოფობისაგან. ნათესავებსა და ნაცნობებს მას შემდეგ ძლიერ ეშინოდათ, თავისი ანდერძი არ შეცვალოსო და ყველა ფულს აძლევდა სესხად. არტისტმა კიდევ ოცი წელიწადი იცოცხლა, უკანასკნელი წლები თავისი სიცოცხლისა ტკბილად გაატარა და სიკვდილის შემდეგ, დიდძალი ვალის მეტი არა დარჩენია რა.

ერთი კაცი სადილობის დროს სასტუმროში მივიდა და იკითხა:

— რა ღირს აქ სადილი?

— მანეთი, — უპასუხეს.

— ვახშამი?

— ათი შაური.

— მაშ, ვახშამი მომიტანეთ!

ყმაწვილი კაცი ქალს ეარშიყებოდა, ყურები გამოუჭედა, როცა ბიძაჩემი მოკვდება, დიდძალი მამული და ფული დამრჩება და ყველაფერს შენ მოგიტანო. ამ ლაპარაკით ქალს მეტად მოაბეზრა თავი. ქალმა მოსამსახურეს უბრძანა: ეგ კაცი იმ დრომდე აღარ შემოუშვა ჩემს სახლში, ვიდრე ბიძა არ მოუკვდება და მემკვიდრეობას არ ჩაიბარებსო.

ინგლისის საკომერციო ფლოტის 80 წლის ინსპექტორი მთავრობამ მოხუცებულობისა გამო სამსახურიდან დაითხოვა; გულნატკენმა მოხუცმა პირდაპირ გლადსტონს მიმართა შემდეგი წერილით: თუ 83 წლის კაცი კაბინეტის მეთაურობას შეძლებს, ვითომ მე 80 წლის კაცმა რატომ ვერ უნდა შევძლო ფლოტის ინსპექტორობაო. გლადსტონმა უპასუხა: მართლადა ჩემო მოხუცო მეგობარო, ვითომ რატომ ვერ უნდა შეძლოთ სამსახური? ნახავთ, რომ ჩვენ ორივენი კიდევ შევძლებთ სამსახურსაო. პრემიერის პროტექციის წყალობით მოხუც ინსპექტორს ისევ დაუბრუნეს თავისი თანამდებობა.



# ჰალო, ბოდიში!..



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალო, მაპატიეთ, პატივცემულო, თივის სარეალიზაციო კანტორაა?

— რამდენჯერ გითხარით, ქალბატონო, ეს ბინა გახლავთ და არა კანტორა!

— ბოდიში, ბატონო, მესამე დღეა ვრეკავ და სულ თქვენს ბინაში ვხვდები. ამ დასაწყევლმა ტელეფონმა ისე ამიშალა ნერვები, ლამის ჭკუიდან შემშალოს!

— გაუფრთხილდით, გეთაყვა, ნერვებს, თორემ შეიძლება ფსიქიატრიულში ამოჰყოთ თავი!

— თქვენი რჩევა-დარიგება მაგრად შეინახეთ, არსად გაგექცეთ. გეტყობათ, ხუმრობის გუნებაზე ბრძანდებით. ერთი ჩემს გულშიც ჩაიხედეთ!..

— თუ ჩამახედებთ, სიამოვნებით ჩავიხედავ. გულწრფელად მითხარით, რა გაწუხებთ?

— ეჰ, რა უნდა გელაპარაკოთ, ყველა მამაკაცი ერთი მირონითა ხართ ცხებული!

— არც ეგრეა საქმე, ქალბატონო, პატიოსანი მამაკაცები კიდევ ვარსებობთ ქვეყანაზე. მითხარით, სად შევხვდეთ და მალე დარწმუნდებით ამაში.

— დარწმუნებული ვარ, სანუგეშოს ვერაფერს მეტყვით.

— თუ არ გეტყვით, მაგასაც ვნახავთ!

— კარგი, თანახმა ვარ, შეგხვდებით. ზემელზე გასტრონომთან მოდით. თეთრი თივთიკის კაბა მეცმევა. მითხარით, როგორ გიცნოთ?

— ტრაბახში არ ჩამითვალოთ — შინაურები მარჩელო მასტროიანს მამსგავსებენ.

— მოვდივარ!..

— მოდით!

მალე ქალი სიმპათიურ მამაკაცს მიუახლოვდა, ვნებიანი თვალები შეავლო და გაოცებით წარმოთქვა:

— მომიტევეთ, უხეშად გელაპარაკეთ. მე ვილაც ახალგაზრდა ქარაფშუტა მეგონეთ. ეგეც არ იყოს, დაუფარავად გეტყვით: ჩემს ქალურ ცნობისმოყვარეობას უნდა უმადლოდეთ, თორემ ასე ადვილად არ შეგხვდებოდით.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, პირიქით, ეს მე უნდა მოგიხადოთ ბოდიში. რაც არ უნდა იყოს მამაკაცი ვარ და მეტი თავშეკავება მმართებდა. ეხლა კი გულწრფელად მითხარით, რა გაწუხებთ?

ქალი არც კი დაფიქრებულა, ისე დაიწყო:

— ქმარმა ძვირფასი ნივთები და წავის ქურქი გამიყიდა, საყვარელი გაიჩინა და აშკარად მღალატობს!

— ტიპიური რეციდივია. ანალოგიური შემთხვევა ხშირია, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, მალე მობეზრდება და უკანვე დაგიბრუნდებათ. მანამ კი ეცადეთ თქვენს მეტოქეს სამაგიერო გადაუხადოთ, მატერიალური ზარალი აინაზღაუროთ, რომ ქარაფშუტა ქმრებმა მომავალში ჭკუა ისწავლონ.

ქალმა გაიღიმა.

ქალის სილამაზით მოჯადოებული მამაკაცი დაიბნა. ტანში ახალგაზრდულმა ჟრუანტელმა დაურბინა. გონება დაძაბა და პოეტური აღმაფრენით შეჰყვირა:

— რა მშვენიერი საღამოა!

— დიდებული! — დაეთანხმა ქალი.

— ხომ არ გაგვევლო?

— სიამოვნებით! მოწყენილი ვიყავი და ვფიქრობდი, სად მომეკლა დრო.

მალე გუგულებივით შეხმატკბილებული ნაცნობი წყვილი თბილისის ზღვის რესტორანში ისხდნენ, შამპანურს მიირთმევდნენ და თავდავიწყებით შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

— ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარ ასე ბედნიერი! — მყუდროება დაარღვია კაცმა.

— დროა წავიდეთ! — თქვა ქალმა.

— ჩემთან წავიდეთ. ხოზე ხუანის სიმღერებს მოგასმენინებთ, — ალერსიანად თქვა კაცმა.

— მეუღლე არა გყავთ? — მთრთოლვარე ხმით იკითხა ქალმა.

— როგორ არა, აგარაკზეა დასასვენებლად, — სლოკინით აუწყა კაცმა.

— გვიან არის, — ქალმა საათს დახედა.

— გემუდარებით, უარს ნუ მეტყვით, მხოლოდ ოცი წუთით წამოდით.

— ოცი წუთით? — ქალი წამით ჩაფიქრდა, — არა, თხუთმეტ წუთზე მეტს ვერ დავრჩები.

— რა გაეწყობა, თხუთმეტი იყოს!

შეხმატკბილებულებმა მალე კიბე ფეხაკრეფით აიარეს და ზღაპრულად მოწყობილ იზოლირებულ ბინაში შევიდნენ. მასპინძელმა მაგნიტოფონი ჩართო, მაცივრიდან ხილი გამოიღო, ლიქიორი გახსნა, საფირონივით ელვარე ჭიქებში ჩამოასხა და ჩუმი, შემპარავი ხმით შესთავაზა:

— თითოც დავლიოთ!

ქალმა გაიღიმა, ლიქიორი გადაჰკრა, ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიდო და ჩურჩულით წარმოთქვა:

— ო, როგორ მომეკიდა.

— არაფერია, გეთაყვა, ტახტზე წამოწექით და მალე გაგივლით.

— თუ ასეა, წამოვწვები... გენდობით. ჯენტლმენს გავხართ, ცოტას წავთვლემ და...

ქალმა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეავლო თვალი, ტახტზე წამოწვა და ნაზად აღმოთქვა:

— რა იდეალური ღამეა!..

— გადასარევი! — დაეთანხმა კაცი.

— გთხოვთ, მარტო ნუ დამტოვებთ, მეშინია, — ლუღლუღით წარმოთქვა ქალმა.

— ნუ გეშინიათ, მეც თქვენთან დავრჩები, — ანუგეშა კაცმა.

— თქვენ ნამდვილი რაინდი ხართ!

მამაკაცმა ხმა არ გასცა. მაგნიტოფონი გამორთო, სინათლე ჩააქრო...

დილით რომ გაიღვიძა, ქალი აღარ დახვდა. საწოლზე ბარათი დაეტოვებინა: „გული არ დაგწყდეთ. დიდი ხანია თქვენზე ვნადირობ, თქვენი ხელში ჩაგდება მინდოდა, მაგრამ, ღმერთია მოწმე, მატერიალური კომპენსაცია აზრადაც არ მომსვლია. ეს გენიალური აზრი თქვენ შთამაგონეთ. კარადიდან ძვირფასი ნივთები, ქურქი და მოზრდილი თანხა წავიღე, ზუსტად იმდენი, რაც ჩემმა მეუღლემ დამაკლო და თავის სატრფოს — თქვენს მეუღლეს შემატა. სწორედ ის არის ჩემი ქმრის საყვარელი. ახლა ისინი ერთად არიან შავი ზღვის სანაპიროზე. ესეც არ იყოს, დროა ქარაფშუტა მამაკაცებმა ჭკუა ისწავლოთ, სხვის ცოლებს თავი დაანებოთ, საკუთარ მეუღლეებს მიხედოთ, უცნობი ქალი ოჯახში არ შეიყვანოთ და საქვეყნოდ თავი არ შეირცხვინოთ!

ფრთხილად, ზაფხულია!..“

**თენგიზ პირველი**

---

□

ქმარს უთხრეს:

— შენი ცოლი ბევრს სეირნობს, დღე და ღამე გარე-გარე დადის, ალბათ, გღალატობს!

— ტყუილია! — თქვა ქმარმა და ტყემალი გაკბიჩა, — ასე რომ იყოს, ერთხელ მაინც შემოივლიდა ჩემთან აგარაკზე.

□

ექიმს პირი შავი ქსოვილით აეკრა და მიცვალებულს ისე მიაცილებდა სასაფლაოზე.

— რატომ აიკარი პირი შავი ქსოვილით? — ჰკითხეს ექიმს.

— ამ მიცვალებულთან პირშავად ვარ და იმიტომ! — მიუგო არცთუ ისე ახალგაზრდა ექიმმა.

□

— დედიკო, დეიდა თალიკო გუშინ ცოცხალი იყო, ღამით რამ მოკლა?

— ცოცხალმა!

□

— როგორ მოგწონს ჩემი ახალი კაბა?

— შენს ჭკუას ჰგავს.

— ეგ როგორ?

— ერთიც და მეორეც ძალიან მოკლეა.

**თინა ხმალაძე**

● როცა მოგაკითხავს, უკვდავება მაშინ დაუძახე!

● მესამე ზარის შემდეგ ისტორიაში შესვლა აკრძალულია.

● მხოლოდ შენი დაბადების დღეა პირიანი, მუდამ დანიშნულ დროზე მოდის.

● შენ ისეთი თვითმფრინავი ხარ, აეროდრომს რომ ვერ მოწყდები.

● მორევის ერთადერთი სიკეთე — ორაგულია.

● ვიწრო ფეხსაცმელითაც გადიან ფართო შარაგზაზე.

**გიგა მახვილაძე**

# ნაირ-ნაირი

ნაირ-ნაირი



## ისინი რეკორდისათვის იბრძოდნენ

ამას წინათ შაუმბურგში (ილინოის შტატი, აშშ) მოეწყო „დიდი ნაციონალური შეჯიბრება“... ყველაზე ხანგრძლივ კოცნაში.

შეჯიბრებაში მონაწილე ქალიშვილებისა და ვაჟების მიზანი იყო მოეხსნათ ხანგრძლივი კოცნის მსოფლიო რეკორდი, რომელიც ზუსტად 100 საათს უდრიდა.

„დიდი ნაციონალური შეჯიბრების“ ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ გამარჯვებულთა სახელები და გვარები ცალკე გამოქვეყნდება პრესაში.



## ფსონის ქაღალდი და მოგება

მილანის ერთ-ერთმა მაღაზიამ, რომელიც ქალის ტანსაცმლით ვაჭრობს, შერყეული ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად ორიგინალურ ხერხს მიმართა — მაღაზიაში შტატში სამუშაოდ მიიწვია სახელგანთქმული მკითხავი.

მკითხავი საგანგებოდ გამოყოფილ კაბინეტში ზის და ფსონის ქაღალდით მკითხაობს მაღაზიაში შემოსულ ჰ' კრველებს.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ დაცარიელებულ მაღაზიას უამრავი ხალხი მოაწყდა. ცხადია, ვაჭრობამაც იმატა და მაღაზიის პატრონმა დიდი მოგება ნახა.



## ნაადრევი სიხარული

ინგლისის ქალაქ ლეილანდში მცხოვრებმა კბილის ექიმმა ფილიპ გრანდმა, თავის თანაშემწეს ამელ უეიტს სიკვდილის შემდეგ 180 000 გირვანქა სტერლინგი უანდერძა.

ამელ უეიტის სიხარული ნაადრევი გამოდგა: ანდერძში აღნიშნულია, რომ ეს თანხა მდივან ქალს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაეცემა, თუ იგი უარს იტყვის ყოველგვარ კოსმეტიკურ საშუალებებზე, არ ივლის გასართობ ადგილებში და ხუთი წლის განმავლობაში ახლოს არ გაეკარება მამაკაცთა საზოგადოებას.



## არავითარი წმინდა!

ბრაზილიის ქალაქ სანტუ-ანდრეს ბანკის ერთ-ერთ ფილიალში ორი მძარცველი შეიპარა. მძარცველების მიერ დატოვებული კვალით დადგინდა, რომ ისინი მეტად დინჯად და უშიშრად მოქმედებდნენ.

საქმე იმაში იყო, რომ იმ დროს, როცა „სტუმრები“ ბანკის სეიფებს ასუფთავებდნენ, ევროპაში მიმდინარეობდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: ტელევიზიით გადმოსცემდნენ ბრაზილიისა და შოტლანდიის გუნდების შეხვედრას.

მძარცველების ვარაუდი გამართლდა: ბანკის თანამშრომლები, ყარაულებისა და მორიგეების ჩათვლით, ტელევიზორის საყურებლად იყვნენ წასულები.



## ფული და ბრინჯაო

უკანასკნელ ხანებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მწვავედ იგრძნობა ერთცენტიანი მონეტების ნაკლებობა.

როგორც გამოირკვა, ბრინჯაოს ფასის გადიდებასთან დაკავშირებით, სპეკულანტებმა გაცხოველებით დაიწყეს ერთცენტიანი ბრინჯაოს მონეტების შეგროვება რომლებსაც სარფიან ფასში ჰყიდიან მრეწველებზე.

ხელისუფლება იძულებული გახდა მკაცრი ზომები მიეღო. ფულის გადამდნობებს თავისუფლების აღკვეთა და დიდი ჯარიმის გადახდა ემუქრებათ.



## მემკვიდრეობის მაძიებელი

ინგლისში ცხოვრობს 48 წლის კაცი, რომელსაც სახელად ჰქვია ჯონატან ნიკოლას ვივიენ ფრენსის ჰილარ ბოიზ რენდოლფ მონტეგიუ ჯევრის ჰანიასინს ბერტრამ სენ-ჯონ ობენ-ჰეილ დე ლა კურტიე.

სახელი, რომელიც ჯონატან... დე ლა კურტიემ ანგარებით დაირქვა, იმ მდიდარი ნათესავების სახელებისაგან შეადგინა, რომელთაგან მემკვიდრეობის მიღებას მოელოდა.

მემკვიდრეობის მაძიებელი მწარედ მოტყუვდა: რამდენიმე ნათესავი უკვე გარდაიცვალა, მაგრამ მათ ვალების მეტი არაფერი დარჩენიათ.



## ოთხჯერ ორი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალაქ რიჩმონდის მკვიდრს მისის მორისს ამას წინათ მეოთხედ შეეძინა ორი ტყუპის ცალი.

საგულისხმოა, რომ ერთი დედის მიერ ოთხჯერ ზედიზედ ტყუპების გაჩენა — ტყუპთა შობის 65.610.000 შემთხვევიდან საშუალოდ მხოლოდ ერთი შემთხვევაა.

ნაირ-ნაირი

ნაირ-ნაირი

გადაეცა ასაწყობად 9/VIII-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VIII-74 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 53.000 შეკვ. 2983, უე11107, ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



# ქროსვორდი

ჰორიზონტალურად: 5. XX საუკუნის საბჭოთა რუსი კომპოზიტორი. 7. ლატვიელი მოჭადრაკე. 8. მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე. 9. ხელოვნურად ფასების გადიდება. 12. ხეივანი. 15. მეფის გადადგომა ტახტიდან. 17. ქრილი ბილიარდის მაგიდაზე. 19. მდინარე ნემანის მარჯვენა შენაკადი. 22. ბამბის ქსოვილი. 23. ფულის ერთეული პოლონეთში. 24. საფუძველი, საურდენი. 25. XIX საუკუნის ცნობილი ფრანგი ფიზიკოსი და ქიმიკოსი. 26. მდინარე რეინის მარჯვენა შენაკადი. 27. პარლამენტი ჰოლანდიაში. 28. გემსაშენი. 29. ბრალდებულის სხვაგან ყოფნა დანაშაულის მომენტში. 32. ადამიანის სხეული. 34. საბჭოთა რუსი ავიაკონსტრუქტორი. 35. სახელმძღვანელო აზრი. 37. რიცხობრივი მამრავლი ალგებრულ გამოსახულებაში. 41. მდინარეზე დასაცურებელი შეკრული ძელები. 42. წარწერიანი დაფა დაწესებულებებზე. 43. სკულპტურული გამოსახულება.

ვერტიკალურად: 1. მდინარე ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში. 2. პირველყოფილი, ძირითადი სოციალური ჯგუფი. 3. კურორტი საფრანგეთში. 4. ლითონის ფირფიტაზე ამოკვეთილი ნახატი. 6. ქალაქი ესტონეთში. 10. მდინარე ევროპაში. 11. მთების მწვერვალებიდან დაგორებული თოვლის მასა. 13. გეოგრაფიული ოლქი სკანდინავიის ნახევარკუნძულზე. 14. გამომწვარი თაბაშირი. 15. სპორტის სახეობა. 16. საკუთარი ხელწერა. 17. დახლართული, ძნელად გასაგნები ბილიკების ქსელი. 18. ქართველი მსახიობი. 19. ზრდადაუმთავრებელი ქათამი. 20. უმოსავლიანო ქვიშოვანი სანაპირო ზოლი საფრანგეთში. 21. ქალაქი და ნავსადგური ჩრდილოეთ კავკასიაში. 30. სახელმწიფო აზიაში. 31 მიწის მონაკვეთი 33. სოკო 36. ქალაქი და საგრაფო დიდბრიტანეთში. 38. ქორისნაირთა ოჯახის მტაცებელი ფრინველი. 39 სათიბი იარაღი. 40 ფიჭვისებრი ოჯახის მარადმწვანე დეკორატიული ბუჩქი

# უცხოური იუმორი



—რენტგენის სურათი უნდა გადაგიღოთ.
—კეთილი, ბატონო ექიმო, ოღონდ პროფილში გადამიღეთ, უკეთესად გამოვდივარ.



— ანა, მოდი, ჩვენს ბიჭუნას ტელევიზორში უჩვენებენ.



— დღეს ჩემი საყვარელი მსახიობი გამოდის ტელევიზორში.



— ცოტა ხანს კიდევ დარჩი. ჩემი ქმარი მოვა და შინ თავისი ახალი მანქანით წაგიყვანს.



— ნუ ნერვიულობ, როდისმე ხომ უნდა სცადოთ პირველი ოპერაციის გაკეთება?!



— ჰალსტუხი ჩინებულად გადგათ.



— ეშმაკმა დალახვროს, რა იქნა ჩემი ჰალსტუხები?!



— ელექტროზარის შესაკეთებლად გამომიძახეს, მაგრამ კარს არავინ მიღებს.
















ИНДЕКС 76056

# დროშა






